ᲙᲕᲐᲚᲘ

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ — ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ᲛᲔᲝᲠᲛᲔᲢᲔ

№ 5 — ᲙᲕᲘᲠᲐ, 1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 1904 Წ. — № 5

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთის წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „კვალის“ რედაქციაში: რუსის ბაზარში, საეკკლესიო სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელაძის სტამბაა.

რედაქციის კანტორა ღიაა ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 2-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე. სარედაქციო საქმეებზე პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათისა, შუადღის 12-დან 2 საათამდე.

ფასი განცხადებისა უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი ორი შაური.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „ᲙᲕᲐᲚᲘ“.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ. მთავრობის განკარგულებანი, უმაღლესი მანიფესტი.—დეპეშები.—კვირიდან კვირამდე,—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები—რუსეთი,— ლექსი კ. გოგოლაძისა,——ი. ს. ფანცხავას „თხზულებანი“, ა. მარილაძისა.- ამონაკვნესი. სპ. მცირიშვილისა.—სხვათა შორი მოთხრობა ია ეკალაძისა.—ბიბლიოგრაფია. მკითხველისა,—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადებანი.

მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი მანიფესტი.

„შეწევნითა დვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა და ნოვგოროდისა, მეფე ყაზანისა, ასტრახანისა, პოლონეთისა, ციმბირისა, ხერსონეს ტაურიდისა, საქართველოისა, ხელმწიფე ფსკოვისა და დიდი მთავარი სმოლენსკისა, ლიტვისა, ვოლინისა, პოდოლიისა და ფინლიანდიისა, მთავარი ესტლიანდიისა, ლივონლიანდიისა, კურლიანდიისა, სემიგალიისა, სამოგიტისა, ბელოსტოკისა, კორელისა, ტვერისა, იუგორისა, პერმისა, ვიატკისა, ბოლგარიისა და სხვათა, ხელმწიფე და დიდი მთავარი ნოვგოროდისა, ქვემო ქვეყანათა, ჩერნიგოვისა, რიაზანისა, პოლოცკისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელოზერისა, უდორისა, ობდორისა, კონდიისა, ვიტებსკისა, მსტისლავისა და სრულიად ჩრდილოეთ ქვეყნებისა, მბრძანებელი და ხელმწიფე ივერიისა, ქართლისა და ყაბარდოს მაწათა და სომხების ქვეყანათა, ჩერქეზთა და მთიელთა თავადთა და სხვათა მემკვიდრე ხელმწიფე თურქესტანისა, მემკვიდრე ნორვეგიისა, გერცოგი შლეზვიგ-გოლშტეინისა, სტორმარისა, დიტმარსენისა და ოლდენბურგისა და სხვათა და სხვათა ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ: ვზრუნავთ რა მუდამ მშვიდობიანობაზე, ჩვენ ყოველ გვარი სამშვიდობოებს ვიხმარეთ მშვიდობიანობის დასაცავად შორეულ აღმოსავლეთში. ამ სამშვიდობო აზრით ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ იაპონიის მთავრობის წინადადებაზედ, რომ გადასინჯულიყო არსებული ხელშეკრულებანი კორეის საქმეთა შესახებ. მაგრამ ამის შესახებ დაწყებული მოლაპარაკება არცკი დასრულებულა, რომ იაპონიამ არ დაუცადა რა ჩვენი მთავრობის უკანასკნელ წინადადების მიღებას, გვაუწყა მოლაპარაკების შეწყვეტა და დიპლომატიური ურთიერთობის მოსპობა რუსეთთან. ამასთან იაპონიის მთავრობამ წინადაწინვე არ გვაცნობა, რომ ამას სამხედრო მოქმედების დაწყება მოსდევდა და უბძანა თავის ნადმიან კუმებს იერიში მიეტანათ პორტ-არტურის განაპირა რეიდის ჩვენ ესკადრაზე. მიეღეთ რა ამის შესახებ მოხსენება ჩვენის ნამესტნიკისა შორეულ აღმოსავლეთში, მაშინვე ბრძანება გავეცით იარაღითვე პასუხი გაეცათ იაპონიისთვის.

„ვაცხადებთ რა ჩვენს ასეთს გარდაწყვეტილებას, ჩვენ შეურეკვლის რწმენით უზენაესისადმი, ვიმედოვნებთ რომ ყველა ჩვენი ერთგული ქვეშევრდომნი ჩვენთან ერთად თავს დადებენ სამშობლოს დასაცავად. ამასთან ვთხოვ უფალს თავისი მადი მოუდინოს ჩვენს ჯარსა და ფლოტს.

„ბოძებულ-არს სანკტ-პეტერბურგს, იანვრის ოცდა ექვიდესა დღესა, ქრისტეს შობიდან ათას ცხრას მეოთხესა წელსა, მეფობისა ჩვენისა მეათესა წელსა“.

ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარი ხელით მოწერილ არს: „ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ“.

ამ ნაირათ რუსეთ იაპონის დავა შორეულ აღმოსავლეთში ომით უნდა გადაწყდეს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.

27 იანვარს მის იმპერატორებითი უდიდებულესობას შორეულ აღმოსავლეთის „ნამესტნიკისაგან“ შემდეგი დეპეშა ეუწყა:

„თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშერდომილესათ ვაუწყებთ, რომ 26 იანვარს, შუალამისას, იაპონიის ნაღმიანმა გემებმა მოულოდნელათ იერიში მიიტანეს პორტ-არტურის განაპირა ჩვენს რეიდზე.

ჯავშიან გემებს „რეტვიზანს“ „ცესარევიჩს“ და კრეისერ „პალადას„ გვერდები შეუმტვრიეს. თუ რამდენათ დაზიანებულია გემები, ამის გამოკვლევას უკვე შეუდექით და დაწვრილებით ცნობებს დამატებით ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას. გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი.

გენერალ მაიორი ფლუგის დეპეშიდან სჩანს, რომ 27 იანვარს იაპონიის 15 ჯავშიანი გემი და კრეისერი მიახლოვებია პორტ-არტურს და სროლა დაუწყია: ზღვის ნაპირიდან ჩვენს ბატარიებსაც ზარბაზნები დაუშენია მტრისათვის. შუადღეზე იაპონიის ესკადრას სროლა შეუწყვეტია და სამხრეთი-

საკენ წასულა. ჩვენი ფლოტის ზარალი: ორი აფიცერი დაიჭრა, ცხრა ჯარის კაცი მოკლულ იქმნა, 41 კი დაჭრა ზოვის ნაპირის ბატარეებზე ერთი ერთი ჯარის კაცი მოუკლავთ, სამი დაუჭერიათ. ჯავშიან გემს „პოლტავას“ და კრეისერს „ნოვიკს“ ძირები შეუნგრიეს.

ციხე ცოტათი დაზიანდა.

დამატებითი ცნობებიდან ჩანს, რომ კიდევ დაუზიანებიათ კრეისერები „დიანა„ და „ასკოლდი.“

კვირიდან კვირამდე

(ფელეტონი)

მკითხველს გაუმარჯოს! მე იმისი ძმა ბიჭი. მისი ერთგული ,,კვირიდან კვირამდე'' ძველებურა ვუგზავნი სალამს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მიმჟდარ ამხანაგებს და ძველებურათ ვსვამ მის სადღეგრძელოს.

***

მკითხველო ამდენი ხანია ვზარმაცობ, თუ მაზარმაცეს კარგათ არ ვიცი. ამ ხნის განმავლობაში იმდენმა ,,ურიოზმა მოიყარა თავი, რომ ღმერთმანი არ ვიცი ,,ოდან დავიწყო. მოდი ისევ იქ,ოდან დავიწყოთ, ,,ოაზეც დღეს მთელი თბილისი და მისი ამყოლი პროვინცია ,,ლაპარაკობს. ვილაპარაკოთ ,,ღალატის'' ღალატზე. ჯერ იყო და სანამ მთელი რუსეთის სცენები არ შემოიარა ამ დრამამ იქნამდე ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ არ აღირსა იმის დადგმა მიუხედავათ იმისა, რომ მთელი საზოგადოება გაფაციცებით მოელოდა იმის ხილვას. მაგრამ აბა იმას ვინ დაგიდევს თურა სურს საზოგადოებას, საზოგადოების ხმას აბა სხვაგან სად აქცევენ ყურადღებას, რომ ჩვენში მიაქციონ! იქნებ თარგმანის უქონლობამ დაგვიგვიანა იმის ხილვა? ის კი არა ერთი თარგმანის მაგიერ ორი თარგმანით გავბედნიერდით და აი ამ სიმდიდრემ შეგვიშალა ხელი თავ დაპირველათ—ორ მთარგმანელი დაეძგერა ერთმანეთს—არა ჩემი თარგმანი ჯობია და არა ჩემიო. იბრძოლეს, იბრძოლეს და ბოლოს გადასწყვიტეს—აიღეს და ,,შერეული თარგმანი'' წარმოადგინეს... უკაცრავათ კი არ წარმ...ადგინეს, არამედ ჩვენი ნაციონალისტები ერთიან დატოვეს უწვერ ულვაშოთ. ასწიეს ჩვენი ,,ღალატი'', მსახიობები და შერეკეს დიდ თეატრში, ასტეხეს დიდი აურ-ზაური, გამოიწვიეს დიდი მოლოდინი და დაბოლოს საზოგადოებას უჩვენეს... დიდი სკანდალი. სკანდალი ისეთი დიდი იყო, რომ ვერც ბათუმიდან და ვერც ქუთაისიდან მოსულმა დეპეშებმა ვერ დააჯერეს ჩვენი ნაციონალისტები, რომ პიესა კარგათ წარმოადგინეს, ,,არ გვჯერა სასწაულიო!'' გაიძახის ერთი გაზეთი. ,,საქმეს არაფერი ეშველება, სანამ ჩვენ თარგმანს არ წარმოადგენენ!'' გაიძახის მეორე. ყველა ,,დამსახურებული'' არტისტები უნდა დავითხოვოთ, უნდა დავსა:რსოთ სკოლა და მერმე წარმოვადგინოთ ,,ღალატიო'', ამბობს პირველი და სხ. და სხ. აი ამ რიგათ გაახარეს მტრები და დაგვიღონეს მოყვრები ჩვენმა ''ღალატის მოღალატეებმა.'' ჩვენი ეროვნების დარაჯათ მდგომნი სულ თმისა და წვერისაგან გადგენ ასეთი თავის მოჭრით და ქვეყნიერების წინაშე შერცხვენით... ჭირისუფლები დიდ საგონებელში ჩავარდენ—რა არის თავი არავინ მოიკლას და სამშობლოს მამულიშვილები არ მოაკლდესო. და რომ ეგ შესაძლებელია ამას ის ფაქტიც მოწმობს რომ ჩვენი დღიური გაზეთები შეთანხმდენ ამ კითხვაში. აბა ერთი მითხარი ჩემო მკითხველო, განა ამაზე უარესი ამბები არ გადაგვხედია თავზე? განა ამაზე უარესი სანახავები არ გვინახავს? და მაშინ შეიოჭოლდენ აგრე ჩვენი ეროვნების ბურჯები?.. მაგრამ... მაგრამ დიდ არს სასელი ჯ დიდება ეროვნული, ძნელია მისი შებღალვა და ამას ვერ მოითმენს მამულიშვილური გრძნობა ჩვენი პატრიოტებისა! ,,კვირიდან კვირამდე'' გზას ულოცავს მათ.

***

მაგრამ მაინც კითხულობს: რა მოხთა, რამ შეაშფოთა აგრე ეს დელიყანდები? ამ კითხვის გარჩევა მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ თითქმის გარეშე მაყურებლის როლს ვთამაშობდით იმ ,,დიადი მომენტის'' მოლოდინში, როცა ,,ღალატს'' სცენაზე დავინახავდით. არც ისე გაუტაცნივართ სუმბათაშვილის პიესას, რომ მისი ქართულ სცენაზე დადგმა ,,ყოფნა, არ ყოფნის'' კითხვათ მიგვეჩნია. ის კი არა, ცოტა კრიტიკული თვალითაც კი ვუყურებთ ამ ნაწარმოებს. ჰო, რა მოხთა? არაფერი, მხოლოთ ჩვეულებრივი ისტორია გამეორდა. მსახიობებმა პიესა სუსტათ, თითქმის საძაგლათაც წარმოადგინეს. ნუთუ ამისთვის ფეხზე უნდა დამდგარიყო მთელი საქართველო? ნუთუ ამისთვის თავზე ნაცარ ტუტა უნდა წავიყაროთ და ძაძით ვიგლოვოთ ეს ამბავი? პიესის წახთენა მართლა ისეთი ძვირი მოვლენაა ჩვენში? რა თქმა უნდა საწყენია ეს და კიდევ უფრო საწყენი, როცა ეს ,,საჯაროთ'' ხთება, სტუმრების თანდასწრებით, მაგრამ ქვეყნიერების გადაყრუება ამ ფაქტის გამო მაინც გადამლაშებაა. განა ამაზე უკეთესი არ იქნებოდა დროზე ჩაკვირვებოდენ საქმეს და ,,საღღესასწაულო წარმოდგენისთვის'' წინდაწინ ეზრუნათ? შეიძლება სხვა მიზეზებიც მოინახოს, როგორც მაგ. ბუნებრივი შიში მრავალი ხალხის წინაშე, დარცხვენა დიდ სცენაზე და სხ., მაგრამ მაინც თუ ვინმეა დამნაშავე ისევ საქმის მეთაურნი. სად ქონდათ მათ თვალთა ხედვა, რა უყვეს ესტეტიური გრძნობა რეპეტიციების დროს? აბა როგორ ვერ შეატყვეს, რომ პიესას წაახთენდნენ! ან და იქნებ რეპეტიციებზე კარგათ თამაშობდენ და შემდეგ განზრახ წაახთინეს პიესა? თუ ამაში ვინმე დაგვარწმუნებს, მაშინ ჩვენ პირველი ვესვრით ქვას ჩვენ არტისტებს, ვინაიდან ეს იქნებოდა ღალატი იმ საქმის, რომელსაც ისინი ემსახურებიან, ეს იქნებოდა ღალატი თავის თავის, თავის პატიოსანი სახელის, მაგრამ ამას რომ არავინ ამბობს, ამაზე რომ კრინტს არავინ დაძრავს! მაშ დამშვიდდით ბატონო ბურჯებო და უფრო რთულ და მნიშვნელოვან საქმეებზე შეაჩერეთ თქვენი ყურადღება!..

***

დიდ საქმეებზე მეთქი ვამბობდი და ამ წუთში კი წინაღმდეგ უნდა მოვიქცე, რადგანაც იმას, რასაც აქ გაუწყებთ რამოდენიმეთ მაინც შეუძლია ჩვენი ნაციონალისტების დამშვიდება და დარწმუნება, რომ ჯერ კიდევ არ წამხთარა ჩვენი საერო საქმე, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენი ერი და ბრწყინვალე მომავალიც აქვს. სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენი არტისტები და მათი მეთაურნი ,,საღალატოთ'' ემზადებოდენ, სწორეთ ამ დროს მოდიოდა და მწიფდებოდა ბ. ვასილ წერეთლის თავში დიდებული აზრი, რომელიც მდგომარეობს შემდეგ მარგალიტებში: **ბრძოლაში ოჯეულთვის სუსტი იმარჯვებს!** (ივ. № 15) მაგალითებისათვის შორს არ წასულა. ,,ბაცილებიო ამბობს ,,ევერიის'' ,,ფილოსოფოსი'', ყველაზე უფრო სუსტი არსებაა, უხილავი და უჩინარი, ერთი სულის შებერვით ცხრა მთას იქით გადავაგდებთ, მაგრამ კაცობრიობას მუსრს ავლებს.'' დარწმუნებული ვართ ამ მაგალითის შემდეგ ველარავინ გაუბედავს შეკამათებას ამ მამულის მხსნელ მამულიშვილს! მართლაც, განა ვასილ წერეთელს გაუმკლავდება ხელ და ხელ რომელიმე ბაცილა? ამასთან ეს სუსტი ბაცილა არ არის, რომ კაცობრიობას მუსრს ავლებს? აშკარაა ,,ბრძოლაში სუსტი იმარჯვებს!''. ბედნიერია ის ერი, რომელიც ასეთ გენიოსებს წარმოშობს, აღზრდის და.., და

,,ივერიის'' ფურცლებს მიუჩენს სამოღვაწეოთ. მაშ ძირს ევროპა და მისი მეცნიერება, ძირს განათლებული ერები და მისი დარვინები და გაუმარჯოს ბ-ნ ვასილ წერეთელს, რომელიც სწორეთ ამ ახალი ალმოჩენის წყალობით იბძვის

***

,,კვირიდან კვირამდე'' მშვენიერ ხასიათზე გრძნობს თავს.

მეცნიერებას ევროპაში ეძებდა და ,,ივერიის'' რედაქციის შემწეობით ვასილ წერეთელმა ამცნო. სისუსტის ეშინოდა, და ღონის მოკრებას ცდილობდა და გამოდგა რომ სისუსტე ყოფილა მძლეველი იარაღი. მაშ რაღა უჭირს მას? არაფერი და... და არც ცნობილ ,,მოგზაურის'' რედაქტორს უჭირს რამე თუ გულუბრყვილო საზოგადოება ეყოლა კარგათ. ბ-ნ როსტომაშვილს მოუწადინებია თავისი გაუსაღებელი ,,მოგზაურის'' გასაღება და... და ალმოუჩენია პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათი. საიდან, რომელი წყაროს შემწეობით მოახერხა ეს ბ-ნმა როსტომაშვილმა—ალლახმა უწყის. და ან რა სახეში მისაღებია ეს, როცა ჟურნალის გასახებაზეა საქმე. მხოლოთ ,,კვირიდან კვირამდემ'' ამის შესახებ მიიღო ერთი წერილი, რომელშიც სხვათა შორის ამას ამბობს კორესპონდენტი:'' ვაკმაროთ ჩვენს პოეტს ის, რომ მისი სასაფლავო გაევრანებულია და მივიწყებული, მის დიდებულ პიროვნებას სარეკლამოთ მაინც ნუ გავხთით და შეურაცხყოფას ნუ ვაყენებთ! მისი ნიჭის პატივის მცემლებს ვალად გვადევს მოვთხოვოთ ბ. როსტომაშვილს, თუ საიდან შეიძინა ეს სურათი?'' ,,კვირიდან კვირამდე'' უერთდება მისი კორესპონდენტის გულის წყრომას და თვითონაც თხოვს ბ-ნ როსტომაშვილს ამის განმარტებას მანამდე კი ერთი საინტერესო ამბავი კიდევ უნდა ვაუწყო ჩემს მკითხველებს და კერძოთ ზემოხსენებულ კორესპონდენტს: 1905 წლის ,,მოგზაურის'' ხელის მომწერლებს პრემიად დაურიგდებათ იოვანე შავთელის და ჩახრუხაძის სურათები, რომლებიც ,,დაცული'' ქონია ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს. სურათის გადასაგზავნი თითო აბაზი უნდა გაეგზავნოს ბ-ნ რედაქტორს. ადრესი: Межевая ул. № 72, Ивану Ростомову. იმედია ბევრი გამოიწერს ,,მოგზაურს''.

***

,,კვირიდან კვირამდე'' სრული დარწმუნებულია და იმედიცა აქვს რომ ყველაფერი რიგზე დაეწყობა, ხოლო არ იცის თუ რა მოხთება ,,ცნობის ფურცლის'' ოჯახში. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან თუ ვინ ბრძანდება ბ, ფ. გოგიჩაიშვილი, იციან თუ როგორ უყვარს მას ამონაწერი სიტყვების გადამახინჯება და ამ საშვალებით სარგებლობა: იცის ბ კიდეც დაულოცა ფილოსოფიის დოქტორს, მაგრამ ეხლა იმას კიდევ ამოუდგა გვერდში ბ-ნი განი. ვინ არის ბ-ნი განი? თუ მისი წერილების კილოს ჩავუკვირდებით ეს მწერალი ,,არ ახალია, ძველია,'' მე მაგალითად დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ბ-ნი განი ერთი იმ კალმოსანთაგანი უნდა იყოს, რომელთაც „ცნობ. ფურც.''ს „მიუდგომელი'' სტრიქონები ზდანევიჩის დანაშაულობა ამართლ—ათეთრებს მაგრამ გავიდა დრო და ამ ვაჟბატონებმაც წარმოიდგინეს ვითომ წარსული დავიწყებულია და რასაც ვიტყვით შეგვრჩებაო. ამის ნაყოფი გახლავს „ცნ. ფურც-ს'' № 2382 ში მოთავსებული განის წერილი, რომელიც სხვის სენს ალალ მართალ კაცებს ახვევს თავზე და ზდანევიჩის მიერ ფაქტიურათ მომსპარ თვით მმართველობის დაღუპვას „კვალელებს'' აბრალებს. „კვირიდან კვირამდეს'' აბა რაღა დარჩენია მეტი, თუ არ შექსპირის „ვაი სირცხვილო, სადღა არის სიწითლე შენი!''

***

და თუ შენი ვინაობა გაიგეს, ვაი შენს ბეჩავს კორესპონდენტი საქები ქალაქის ფოთისავ! ფოთის დელიყანდირ[illegible]ენ—ცია იმედია არ გაპატიებს იმ თავხედობას, [illegible] „ივერიის'' № 17 იჩენ. არ გაპატივებს და „კვირიდან კვირამდეც'' ამართლებს იმათ საქციელს, ვინაიდან შენ გაბედე და ისეთი რამეები გამოამჟღავნე, რომ „ჩიტის გულიც ვერ მოითმენს'' და არ მოითმენს არც ფოთელი ინტელიგენტი იმ ფაქტის გამომჟღავნებას, რომ მას სამკითხველო არ უვარგა, რომ მას ბიბლიოთეკარის ჯამაგირი ვერ გადაუხთია. და იმედი არც იქაური „ბარიშნები'' [illegible] თავიანთ კავალრებს, შეიარაღდებიან ქოლგებითა და ქოშებით და სულ ცხვირსა ბ პირს დაგამტვრევენ იმ საყვედურისთვის, რომელიც მათ შესტყორცნე. განა შეიძლება, რომ მაღალ ზნეობიან ქალაქ ფოთის ,,ბარიშნებმა'' სამკითხველოში იარონ და სცენაზე ითამაშონ? განა ამას ურჩევს ვინმე ჭკუაზე მყოფი კაცი იმათ? ეს ხომ ზნეობრივათ დაცემა იქნება, ეს ხომ გატეხა იქნება ძველებურ ჩვენებური ტრადიციის! და ნუთუ მოითმენს ასეთ დაუმსახურებელ საყვედურს ფოთის ,,ბარიშნა.'' ნუთუ მოითმენენ თავიანთ „დამების'' ასეთ შეურაცხყოფას ფოთის თავმოყვარე „კავალრები''? „კვირიდან კვირამდე'' სრული დარწმუნებულია, რომ ამას ისინი არ მოითმენენ, მაშ თრთოდე და ძრწოდე ფოთელო კორესპონდენტო, თუ შენი ვინაობა გამჟღავნდა!.. მანამდე კი, სანამ იმას ალმოაჩენდენ „კვირიდან კვირამდე'' თავაზიანათ უთმობს შეურაცხყოფილ „დამა-კავალრებს'' ალაგს „ივერიის'' მავნე კორესპონდენტთან საპოლემიკოთ... „კვირიდან კვირამდე'' ყველთვის როდია ლოთი-ფოთი, ხან და ხან იმას ჯენტლმენობაც შეუძლია.

სხვა და სხვა ამბები

პარასკევს, 30 იანვარს შესრულდა 75 წლიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთის გამოჩენილი მწერალი გრიბოედოვი გარდაიცვალა. იმ დღესვე გადახდილ იქმნა მამა-დავითის ეკლესიაში პარაკლისი მისი სულის მოსახსენებლად.

ახალშენის (თელავის მაზრა) სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ქალი პეტრიაშვილი მსხვერპლი გამხთარა ღამის რაინდობისა და გადაცვლილა კიდეც.

ამ ცოტა ხანში პეტერბურგის ოლქის სასამართლო კრუშევანისა და ჟურნალების ,,ვოსხოდ'' და ,,მირ ბოჟი''-ს რედაქტორების საქმეს გაარჩევს. კრუშევანი ამ რედაქტორებს უჩივის, ბეჭედითი სიტყვით ცილი დამწამეს, ვითომ კიშინევში მომხდარ საქმეში მე მონაწილეობა მიმეღოსო. ბრალდებულთ იცავენ ვექილები ანდრეევსკი, ვინავერი და კალმანოვიჩი.

დონის ოლქის თავად-აზნაურნი თანდათან ჰკარგავენ თავიანთ მიწებს. 1901 წელს თავად-აზნაურებს 1.475.541 დესეტინა მიწა ჰქონდათ. წარსულ 1903 წ. დამლევს დარჩათ 1.263.584 დეს. სამის წლის განმავლობაში დაუკარგავთ 213.000 დესეტინა. გაზეთები ერთხმად ამბობენ, დაკარგულ მამულის რიცხვი ძალიან დიდიაო.

,,ფინლ. გაზ.''-ში დაბეჭდილია: ,,ქ. აბოში საკანდიტრო და რესტორანი ,,ვიბერგ''-ი წინადაც ასეთ ადგილად იყო ცნობილი, სადაც პოლიტიკური დამნაშვენი იკრიბებოდნენ. ამ ცოტა ხანში რესტორანში აბოს ფონგერიხტის ორი მსახური შევიდა, მაგრამ ფინლანდიის ეხლა გაუქმებულ ჯარის შტაბს-კაპიტანი, რესტორანის პატრონმა ვინბერგმა მათ გა-

რედ გასვლა მოსთხოვა და უთხრა, აქ აღარ შემოხვიდეთო. აშისათვის გენერალ-გუბერნატორმა რესტორანი ,,ვიბერგ''-ი თვით დაკეტა''.

როგორც ერევნიდან ,,კავკაზ''-ს დეპეშით ატყობინებენ, ვიღაც კაცს განუზრახავს ეჩმიაძინის მაზრის უფროსის შმერლინგის მოკვლა. შმერლინგი სასამართლოში ყოფილა დაბარებული მოწმეთ სომხების საქმის გამო. როდესაც უკან ეჩმიაძინში ბრუნდებოდა და ერევნის მიყრუებულ ქუჩებზე გაუვლია, მივარდნია ვიღაც უცნობი კაცი და უსროლია, მაგრამ ტყვია აუცდენია.

---

23 იანვარს ქ. უფაში. დაიწყო იმ მუშების საქმის გარჩევა, რომელთაც ზლატოუსტის ქარხანაში უწესოების მოხდენა ჰბრალდებათ. ბრალდებულთა რიცხვი 34, მათ შორის 5 ქალია. იუსტიციის მინისტრის განკარგულებით საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა. ბრალდებულთ იცავენ ვექილები: პეტერბურგიდან, მოსკვიდან, ვორონეჟიდან და სხვა ქალაქებიდან.

---

28 იანვარს ჩვენთან რედაქციაში შემოვიდა თიანეთის მაზრის სოფელ ალვანის მცხოვრები ლაზარე ლაგახიძე და გააცხადა შემდეგი: გასული წლის ნოემბერში სოფ. ალვანის მცხოვრებმა მარიამ ჯაჯანაშვილმა მიიტყუა თავის სახლში მისი მეზობელი მარიამ დინგაშვილისა და კიღეც დაითანხმა იმ ღამეს იქ დარჩენილიყო. ამ ორ ქალებს ერთმანეთში მტრობა ქონიათ. დაძინებულ მარიმ დინგაშვილს მიპარვია ჯაჯალიშვილისა და სახეზე მდუღარე წყალი გადაუსხამს, რისგამო საცოდავი ქალი ერთობ დასახიჩრებულა. ეს საქმე შეუტყობინებიათ მამასახლისისათვის, ოქმიც შეუდგენიათ, მაგრამ... დავიწყებაში მიუცია. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

კორესპოდენციები.

ქუთაისი (ქალ. სიბჭო). 26 იანვარს, ქალაქის საბჭოს ერთი მეტად საყურადღებო კითხვა გაირჩა და გადაწყდა. ქუთაისში ქონებას ადრე ამნაირად აფასებდენ: იღებდენ წლიურ წმინდა შემოსავალს და ამრავლებდენ მას ხუთმეტჯერ. მაგ., ივანე უკმაკურიძის სახლი წლიურათ იძლევა წმიდა შემოსავალს 1000 მან. მაშასადამე ქალაქის გამგეობა ამ სახლს აფასებს 15,000 მან. ისე იყო გასული წლის ბოლომდე.

ერთ ზამთრის ბრწყინვალე დღეს ქუთაისის საბჭოს ხმოსანთა უმრავლესობის გონებას ზამთრის მზის სხივების შუქი მოხვდა; ზარმაცი ჭკუა ამოძრავდა, ხმოსანთა უმრავლესობამ უკეთ შეიგნო თავისი ინტერესები და დაადგინა: დღეიდან ქუთათურთა სახლ-კარის ღირებულება განისაზღვრება წლიური წმინდა შემოსავლის ათზე და არა ხუთმეტზე გამრავლებით.

გაიტანეს ლელო, მაგრამ ასე ადვილათ გამარჯვებამ და ხმის მექონეთა **ერთი მესამედის უხმოთ დატოვებამ**, ქუთათურ ამრჩეველებთა სიიდან ერთი მესამედის გამორიცხვამ (ახალი წესის ძალით მესამედს რომ აერთმევა ხმის უფლება-ეს გუშინ უტყუარი ციფრებით დაამტკიცა გამგეობის წევრმა—ბ. გრ. გველესიანმა) ჩაფიქრა ქალაქის თვით მმართველობის გარეშე მყოფი პირებიც... გუბერნატორმა ურჩია საბჭოს უკეთ ჩაკვირვებოდა ამ საკითხს და ხელახლავ გაერჩია ის...

ქალაქის თავმა გუშინ მეორეთ დაუყენა ეს კითხვა საბჭოს, საბჭომ თავისი ძველი დადგენილება შეცვალა და ამასთანავე ხმოსნების ფიზიონომიაც გამოირკვა.

ახალი წესის ძალით ქუთათურთა სახლ-კარის ფასი შემცირდება, მაგ. ის, რაც უწინ 15 ათასათ იყო დაფასებული, ეხლა 10 ათასად იქნებოდა დაფასებული. მოკერძოებულ ბატარა საკუთრების პატრონს ხმა არ აქვს ხმის მიცემის დროს, ე. ი. ის მოკლებულია იმ უფლება-იარაღს, რომლის საშვალებით მას შეეძლო ბრძოლა თავის ინტერესების დასაცველათ: მისი წრის ან თანამებრძოლ პირთა ხმოსნათ გაყვანა და მტერთან თანასწორ პირობებში ბრძოლა. განა ქალაქის ,,მამები'' ქალაქის ყველა მცხოვრებთა ინტერესებზე ერთნაირათ ზრუნავენ? ,,მამები'' ზრუნავენ იმათთვის, ვისიც ერიდებათ, ვის ხელშიაც ძალას, იარაღს ხედავენ და, რასაკვირველია, შეიარაღებულთა წინააღმდეგ უიარაღოებს ვერ მიემხრობიან. ასეთი უანგარობა, გმირობა დღევანდელ პირობებში ,,მამების'' ბუნებას ეწინააღმდეგება...

გუშინდელი კრება მეტად საყურადღებო იყო. ხმოსნები ორ ბანაკათ გაიყო. ბ. გრ. ქორქაშვილი ურჩევდა თავის მოპირდაპირეებს სამარცხვინო საქმე არ ჩაედინათ და წინსვლის მაგივრათ უკან არ წასულიყენ. ის სამართლიანათ უთითებდა სხვა ქალაქების და საერობო დაწესებულებათა მაგალითზე; სხვაგან ცდილობენ მცხოვრებთა რაც შეიძლება მეტ ნაწილს მიეცეს ხმა, აქ კი ბბ. კ. ლორთქიფანიძე—გ. დარახველიძე—მ. ქიქოძე—ჭილაძე ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ამრჩეველთა რიცხვი შეამცირონ, ღარიბებს, თავის დასაცველი იარაღი ხელიდან გამოგლიჯონ... ქება-დიდება, ვაშა თქვენ, პატიოსანნო მამულიშვილებო!

ჭილაძე—ქიქოძე—დარახველიძე—ლორთქიფანიძე ბაჟინებით იმორებდენ მუდამ ერთ ფრაზას. ქონების ფასების მომატებას გადასახადის გადიდება მოყვებაო და ბბ. ლორთქიფანიძე—ქიქოძე და კომპანია მჭევრმეტყველათ, პაფოსით ამტკიცებდენ, რათ უნდა ღატაკს ხმა, თუ გადასახადი მოემატებაო. რა შორს გამჭვრეტი და დიდსულოვანი ადამიანები ბრძანდებიან! ა'ეთ ,,მამების'' ხელში რათ სჭირია ღარიბებს თავისთავზე ზრუნვა, შეიარაღება? გააგდეთ ის ჯოხიც, რომელიც ხელთ გიპყრიათ! ამას გიბრძანებენ ერთგული ,,მამები'' დარახველიძე—ლორთქიფანიძე...

მაგრამ ერთი რამ არის საკვირველი: საბჭოში უტყუარი ციფრებით ბ. ი. ჩიქოვანმა დაამტკიცა, რომ ათის მაგიერ, ხუთმეტზე წლიური შემოსავლის გამრავლებით ქალაქს სახელმწიფო გადასახადები არ მოემატა, რომ ამ მხრით შიში სრულიად უსაფუძლოა. ეს ბ. ჩიქოვანმა და სხვებმაც მკაფიოთ არა ერთჯერ განუმარტეს დარახველიძე—ქიქოძე—ლორთქიფანიძეს. მაგრამ ამაოთ... ეს ,,მამები'' მაინც თავისას გაიძახოდნენ: ღარიბები დაიღუპებიან, თუ მათ იარაღი ხელში შევარჩინეთო:

კრებაზე აშკარათ გამოირკვა, რომ ქონებათა მეტ სუმაში (ისიც გამოირკვა, რომ ამნაირი დაფასება სინამდვილეს უფრო უახლოვდებოდა) დაფასებით გადასახადებს არ მოემატებოდა და ნაკლებში—დაფასებით ამრჩეველთა სიიდან ერთი მესამედი (ულარიბესნი) ამოიშლებოდა,—ეს დამტკიცდა, მაშ, მკითხველო, რა ალაპარაკებდა ზემოხსენებულ ,,მამებს'', რა სურდათ მათ? ვის ინტერესს ემსახურებოდენ ისინი?.. გამოიცანით.

დამსწრე.

ს. ასკანა. (გურია) ცარიელ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო—ალბათ ასკანელები ყავდა სახეში ამ ან დაზის შემქნელს. მართლაც ვინ გნებავთ, რომ ასკანელების კისერზე **არ** ნავარდობდეს. ერს, ბერს და **ყველა ოხერს აქ მოუყრიათ** თავი და ცხენის წურბელასავით ასკანელების **სისხლით ძღება**. სად **არის** ან **რას აკეთებს** ასკანის **ინტელიგენციაო**—

იკითხავს ზოგიერთი მკითხველი. უბედურებაც ეგ არის, რომ ინტელიგენციისაგან მოელიან ხსნას, და ეს უკანასკნელიც მხოლოთ შემთხვევით სარგებლობს. მან იცის, რომ ხერხი სჯობია ლონესა და უვიც ხალხს თავის გუნებაზე ატრიალებს. ამ მხრით ასკანის ინტელიგენციას ბადალი არა ყავს. და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ასკანა სოლომონ ოტელოთ წოდებულის სამშობლოა,—იმ ჯადო-ქარი სოლომონის, რომელიც, თუ მოისურვა (ჰაი, ჰაი, რომ მოისურვებს!) დღეს ასკანაშიც ისადილებს, ბათომშიც, ქარსელშიც და, რკინის გზა რომ იყოს გაყვანილი მთვარეზედაც. „ეს საზოგადო მოღვაწე„ დადი ხანია რაც ასკანის ცხოვრებას სათავეში მოექცა და მის ბედის ჩარხს თავის გუნებაზე ატრიალებს. აქ, ასკანაში, გაშალა ფრთები მისმა „მოღვაწეობამ“ და აქ გაღმერთებული ის ოზურგეთის ახალგაზდა შუამავალს დაასკუპდა თავზე.

ჩვენდა საუბედუროთ, სოლომონმა ოზურგეთში ყოფნის დროსაც არ მოასვენა საბრალო ასკანა და თავისი კლაკორების—ნიკიტა—პოლიკარპე—დომენტის მეოხებით ოზურგეთიდანაც კარგათ მოახერხა ასკანაში დიქტატორობა.

ღმერთო ჩემო! რამდენი რა არ გაკეთდა სოლომონის თაოსნობით—ბიბლიოტეკა, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, ორ კლასიანი სასწავლებელი—ერთი სიტყვით, სოლომონის მეცადინეობით ასკანა ნამდვილ შვეიცარიათ იქცა!

როგორ ისარგებლა ამ დაწესებულებით ხალხმა და როგორ ისარგებლა თვით სოლომონმა—აი საინტერესო კითხვა.

ვინც ცოტათ თუ ბევრათ იცნობს საზოგადოთ დღევანდელ ცხოვრებას და კერძოთ სოლომონს—იმისთვის ცხადია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა დაწესებულებებმა უმთავრესათ სოლომონს მოუტანეს ხელი. ეს ითქმის განსაკუთრებით ბიბლიოტეკა—სამკითხველოზე, რომლის გამგეთ სოლომონი ბძანდებოდა და რომელიც, რომ არ დაეხურა, სოლომონის წყალობით მაინც დაიხურებოდა,—ეგივე ითქმის შემნახველ—გამსესხებელ ამხანაგობაზე რომელიც დღეს სამარის პირას დგას. ახალი ეკლესიის აგებამაც, რომელიც ლატაკ ასკანელებს ათი ათას მანეთამდის დაუჯდათ, დიდი სარგებლობა მოუტანა ალბათ, ოადგან სახურავიდან წყალი ისევ ჩამოდის და კანკელიც ჯერ გაკეთებული არ არის. გლეხებმა გაიგეს სოლომონ ვასილ—დიომიდეს და და სხვების ოინები, მაგრამ რა უნდა ქნან. სოლომონი ხომ უბრალო მომაკვდავი არ არის, ის ისეთ მანქანას მოიგონებს, რომ მტერსა და ორგულს ხელათ ვირის აბანოში ამოაყოფინებს თავს. მისი შიშით არა ერთმა და ორმა ამოიკვეთა ფეხი ნიგოითის ქედს გადმოლმა.

მაგრამ ყველაზე მეტი ზარალი ბ. სოლომონმა ასკანის სკოლას მოუტანა ის, დიდი ხანია, რაც ამ სკოლის მზრუნველათ იყო და სწორეთ ისეთი მზრუნველობა გაუწია, როგორსაც მგელი უწევს უპატრონო ცხვრების ფარას.

რომელი მასწავლებელიც მას არ მოეწონებოდა, რა ღირსებითაც უნდა ყოფილიყო ის აღჭურვილი, სოლომონი მას ფეხს არ დაადგმევინებდა ასკანის მიდამოში. პირიქით თუ მას სურს, ისეთ ადამინს გააპედაგოგებს, რომელიც სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასაც არ გასცილებია. ავიღოთ თუნდ მასწავლებელი ვ. ჯაველიძე. ეს ვაჟბატონი შარშან პირველ მოსამზადებელში მასწავლებლობდა და მისი შეგირდები ნახევაჯზე მეტი ისევ პირველში დარჩენ. წელს მას განყოფილება გამოუცვალეს, მაგრამ განა გათეთრდება ყორანი, რა რიგ რომ ხეხო ქვიშითა? წელს ზოგიერთ განყოფილებებში სწავლა ოკტომბრის გასულს დაიწყო. სასწავლებლის შენობა დაზარებულია, სახურავიდან წკიმა ჩამოდის, სტოლები დამტვრეულია, შით კლასი ტალახით არის სავსე. მკოლის შემოსავალს ვიდაც ოხრები სჭამენ. ვინ არის ამ ჟანათ მკოლის მზრუნველი? რატომ ყურადღებას არ აქცევენ ამ რემოებას?—იკითხავს მკითხველი. მკოლის მზრუნველი ერთი წლის წინეთ ხალხმა ბ. ბესარიონ თალაკვაძე აირჩია... ვინ იცის რამდენი ვაი-ვაგლახი გადიწვიტეს, სანამ სოლომონს გააშავებდენ. ხუმბრობა ხომ არაა! სოლომონი მაშრის სოლომონია თუ სოლომონურ ხრიკებს არ იხმარდა? როცა საზოგადოებამ ერთხმათ იგრიალა ყრილობის დროს სოლომონი არგვინდაო, მაშინ სოლომონმა ყუთი დაიდგა... საინტერესოა ამ არჩევანის ფორმალური მხარე: სოლომონი ფალავანდივით გამოიჭიმა თავის საინთან. მეორე მხარეს თალაკვაძის საინი იდგა. სათითაოთ უნდა გამოსულიყვენ და სოლომონის თვალის წინ თეთრი ან შავი კენჭი უნდა მიეცათ! მაგრამ საზოგადოების სიძულვილი ისეთი ღრმა აღმოჩნდა, რომ ყველამ გაბედა მაინც „შავის“ მიცემა და სოლომონიც დამარცხდა. მაგრამ ეს დამარცხება საუბედუროთ მხოლოთ ზნეობრივი გამოდგა: საქმით კი დღეს ისევ სოლომონი თარეშობს და სკოლის სვე ბედი მის ბინძურ ბრჭყალებს ვერავინ გამოგლეჯა ჯერ-ჯერობით. გვიკვირს ბ. ბესარიონ თალაკვაძე რათ არ ცდილობს მკოლის საქმეების ჩაბარებას, ან რათ დათანხმდა, როცა ის საზოგადოებამ აირჩია. შეიძლება მასაც ეშინია! მახლას! ბ. სოლომონი დაეპატრონა აგრეთვე ახალ დაარსებულ საქალებო სასწავლებელს და აქაც, რასაკვირველია, იმ გზით ივლის, რა გზაც მას ეხერხება.

„ასკანელი წვერცამეტა“.

რუსეთი

გასული წლის 26 დეკემბერს პეტერბურგში გაიხსნა მესამე კრება ტეხნიკურ და პროფესიონალურ განათლების მოღვაწეთა, რომელიც ოთხ იანვარს დასრულდა. რადგანაც ამ კრებახ მის მიერ მიღებული რეზოლიუციების წყალობით დიდი კავშირი აქვს საზოგადოების უმთავრეს მიმდინარეობასთან, ამიტომ ჩვენ საჭიროთ დავინახეთ მოკლეთ მაინც გავაცნოთ ჩვენ მკითხველებს მისი შინაარსი.

კრების პროგრამა რომელიც მხოლოთ ტეხნიკურ და პროფესიონალურ განათლების გასაუმჯობესებლ ღონისძიებას უნდა შეხებოდა, თითქმის განზე იქმნა გადადებული და მთელი ცხრა დღის განმავლობაში კრება ისეთ კითხვებს მოუნდა, რომელსაც ერთის შეხედვით თითქოს არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ქონდეს ტეხნიკურ და საზოგადოთ სპეციალურ კითხვებთან. მაგრამ ეს მხოლოთ ერთი შეხედვით, მხოლოთ ზერელე თვალის გადავლებით და ეს ასეთი თვალით შეხედეს კიდეც ამ გარემოებას რუსეთის კონსერვატორებმა და ასტეხეს ერთი გაუთავებელი განგაში და მითქმა მოთქმა. „სამშობლო იღუპება, ტეხნიკები გავიჟდენ, ყარაული, ყარაულიო„ გაიხმაურეს ამ უებრო რაინდებმა და ერთიანათ გადგვაყრუეს. რა მოხთა ასეთი, მართლა იღუპება თუ არა რუსეთი? ეს კრება უმეტეს ნაწილათ შედგებოდა სასწავლებლების უფროსებისაგან და პედაგოგებისაგან, ყველა მისი წევრი მოხელე იყო, მთავრობის მოსამსახურე და ნუთუ იქაც იჩინა თავი კონსერვატორების საფრთხობელამ “მავნე მიმართულებამ?“ სრულიადაც არა, არავითარ „მავნე მიმართულებას“ აქ ალაგი არ ქონია, არავითარი სამშობლოს საწინააღმდეგო საქმე მათ გულში არ გაუვლიათ, არამ დ სწორათ და გადაჭრით აღარეს ი., რასაც დღევანდელი სინამდვილე ღაღადებს და რისაც ყველის ახვევა გ ნგებ დაბრმავებას

ნიშნავს. თუ რა „მავნე მიმართულების“ იყო ზემოხსენებული კრება, ამას ეხლავე დავუმტკიცებთ მკითხველებს. მოვიყვანოთ მისი უმთავრესი რეზოლიუციები: 1) მიეცეს საზოგადოებას ფართე მონაწილეობის უფლება განათლების ყველა დარგში. 2) მოსპობილ იქმნას ყოველ ნაირი შემაფერხებელი ზომები სწავლის მისაღებათ, როგორც მაგალითათ ეროვნული სხვა და სხვაობა. 3) შემოღებულ იქმნას საყოველთაო სწავლება და მეტი ყურადღებით მოეკიდონ ხალხის გონებრივათ ამაღლების საქმეს. 4) შემოკლდეს სამუშაო დრო ფაბრიკა ზაოდებში, რომ მუშებს მეტი დრო დაურჩეს გონების გასავითარებლათ. 5) მიეცეს ბეჭდვითი სიტყვას თავისუფლება და სხვა და სხვა. და ამას ამბობს არა ჩვენისანა უბრალო მომაკვდავი, არამედ ისეთი ხალხი, რომელთაც თითქმის ყოველივე კავშირი გაუწყვეტია დაბალ წოდებასთან. აშკარაა დღევანდელ საჭირ ბოროტოკითხვებს ღრმათ გაუდგამს ფესვი საზოგადოებაში, აშკარაა რუსეთის მოწინავე საზოგადოების გულის ტკივილი ძლიერ შორს გაწეულა. თუ ასეთი ზომები არ განხორციელდა ვერც ჩვენ კერძო საქმეებს ვარგებთ რასმეო—ერთხმათ განაცხადა კრებამ და კითხვა „გაშლილათ“ დატოვა. იმას არც შუამდგომლობა აღუძრავს და არც რამე. სულ ერთია, შუამდგომლობას ან სულ არ აქცევენ ყურადღებას და თუ მიაქციეს ისეთ კომპრომისებს მოგვთხოვენ რომ დაბოლოს მაინც არა გამოდის რაო. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნოთ ჩვენი საჭიროება, მიუთითოთ ვისიც ჯერ არს საჭირო ზომებზე და მერმე როგორც ენებონ ისე მოიქცენო.

* *

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან („კვალის“ № 4) „მთავრობის განკარგულებიდან, რომ ტვერის გუბერნიის ერობის მოქმედება, განსაკუთრებულ პირობებში იქმნა ჩაყენებული, რომ მისი საქმეების მართვა-გამგეობა ადმინისტრაციას გადაეცა. ასეთი შეთხვევა, როგორც გადმოგვცემს „Рус. Вѣд.“ № 20 სულ ორი ყოფილა რუსეთის ერობის ისტორიაში. 1867 წელს შეჩერებულ იქმნა საერობო დებულების მოქმედება პეტერბურგის გუბერნიაში. ამის მიზეზათ მაშინ ასახელებდენ იმას, რომ „პეტერბურგის ერობა დღეიდან თავის კრებების დაწყებისა, კანონის წინააღმდეგ მოქმედებდა და კანონის გადამახინჯებულათ გარკვევით მართებლობისადმი უპატივცემულობის გრძნობის გამოწვევას ცთილობდა“. მეორე კი 1888 წელს, ჩერეპოვეცის მაზრის (ნოვგოროდის გუბ,) საერობო დაწესებულებათა შეჩერება. ამ ერობას გუბერნატორი აბრალებდა, რომ „იგი ათი წლის განმავლობაში სისტემატიურათ ეწინააღმდეგებოდა მთავრობის განკარგულებას, რითაც ერობის საქმეებში არეულობა და მოუწყობლობა შეიტანა. ამის გამო დაეცა ზნეობა, გაძლიერდა თვითნებობა, გამძლავრდა დანაშაულობა, შეირყა წესიერება და ხალხის კეთილდღეობავ“. ორივე შემთხვევაში ადმინისტრაციული წესით დაუსჯიათ ერობის მეთაურნი, პეტერბურგიდან ორენბურგში გაუგზავნიათ ნ. თ. კრუზე, მეორე შემთხვევაში კი ნოვგოროდის გუბერნიაში ცხოვრება აუკრძალავთ ოთხი უფრო მომქმედ წარმომადგენელთათვის.

* *

„Рус. Инв.“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: „1903 წლის, 27 სექტემბერს ქალაქ სარატოვის ნავთ-სადგურზე გემიდან გადმოსულა ყაზანიდან პერმში მიმავალი გენერალი. სხვათა შორის ნავთსადგურზე მდგარა მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ალექსანდრე ანდრეევი, რომელსაც რა დაუნახავს გენერალი დაუწყია ლანძღვა და მაგრათ დაურტამს გენერლისთვის ზურგში. გენერალმა სტუდენტი დააჭერინა. ამ დანაშაულობისთვის ანდრეევს ადმინისტრაციული წესით გადაუწყვიტეს ორი წლით ციხეში დაპატიმრება და შემდეგ კიდევ ორი წლით იაკუტის ოლქში გაგზავნა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

† პოლიო კვიცარიძის ხსოვნას.

19 იანვარს ქუთაისში გარდაიცვალა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი პოლიევქტო გრ. კვიცარიძე. განსვენებულმა მეორე წელიწადია რაც სამსახურს თავი დაანება ავათმყოფობის გამო. ამ ხანებში იგი სულ ავათმყოფობდა. ხელმოკლეობის გამო განსვენებულმა თავიდანვე ვერ მისცა შვება თავის ავათმყოფობას და ბოლოს კი შეუძლებელი შეიქმნა მისი განკურნება. უღმობელმა სიკვდილმა მას უდროოთ მოუსპო 55 წლის სიცოცხლე და დაატოვებინა ობლათ ხუთი მოსწავლე ვაჟი, რომელთაც დედა ამ 7 თვის უკან გარდაეცვალათ.

განსვენებული კარგათ ცნობილი იყო ქუთაისის საზოგადოებაში, როგორც განვითარებული და ქართული ენის მცოდნე ინტელიგენტი. ქუთაისში იგი ყოველკვარ საზოგადო საქმეში იღებდა მონაწილეობას, თუ საქმით, თუ სიტყვით. იგი ერთი დამაარსებელთაგანი იყო „წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობისა“ და მისი სარედაქციო კომისიის მუდმივი მომქმედი წევრი. სხვებთან ერთათ ესეც ამხანაგი იყო იმ ინტელიგენტთა ჯგუფისა‘ რომელმაც გამოსცა კრებული „ცდა“-სი, სადაც მასაც აქვს წერილები მონოგრაფიული. იგი ქუთათურების „შრომაში“-აც იღებდა მონაწილეობას. მასვე აქვს ნაწერები „დროებაში“ „იმედში“ „ივერიაში“(ჟურნალში,) „თეატრში“ და „ნობათში“. მაგრამ სალიტერატურო მისი მოღვაწეობა უფრო ქართული ენის შემუშავებას ეკუთვნის. ამ დარგში იგი საგრამატიკო ლიტერატურის მასალას აგროვებდა და 1889 წელს კიდეც გამოსცა (თუმცა გამომცემელმა საკმაოთ დაუმახინჯა წიგნი) „ქართული სწორმეტყველება“ რომლიდანაც შემდეგ გრამატიკოსებმა ბევრი ისარგებლეს და ლიტერატურაშიაც მის მიერ შემუშავებული ფორმები ბევრი შეიტანეს ენის გასაუმჯობესებლათ. გვახსოვს გ. წერეთელის აზრი განსვენებულის „სწორმეტყველებაზე:“ „თუ ავტორმა ეს გრამატიკა, დაასრულა, იგი დაედება საფუძვლათ ახალი ქართული ენის შესწავლას, რასაც „კვალის“ გამოცემით მეც მინდა ვემსახუროვო. დამარილაც განსვენებული ჩვენ პერიოდულ გამოცემებში „კვალის“ ენას უპირატესობას აძლევდა და სურდა კიდევაც ამ გამოცემის ნაკლულევანება ენის მხრივ ერთათ აღენუსხა და გაეგზავნა რედაქტორისათვის თუ დასასტამბათ არა შინაურ სახელმძღანელოთ მაინც. მაგრამ არც ეს და არც „სწორმეტყველების“ დამთავრება-შესწორება მას არ დასცალდა.

როგორც სამაგალითო მასწავლებელი. ის ძლიერ ბევრ მის ნამოწაფევს უყვარდა და ეს სიყვარული კიდეც გამოიხატა სავსებით მის საფლავზედ წარმოთქმულ რაოდენიმე გულწრფელ სიტყვებში...საუკუნოთ იყოს შენი ხსენება დაუვიწყარო პოლიევკტო!

* * *

სატრფოვ, სხივმფენო ვარსკვლავო,
იმედო გულის, გონების,
მნათობო დაუძლეველო
ჩემ მოწყენილი ცხოვრების,
დაე მაწამონ მე შენთვის,
ვითა იესო ჯვარზედა,

ამკიდონ ჯვარი წამების...
ავალ გოლგოთის მთაზედა!..
    დაე დამჩხვლიტონ ლახვრებით,
მიმატონ შხამი შხამზედა,
არ გიღალატებ, იცოდე,
მაინც არ გაგცვლი სხვაზედა!
    შენი შვენებით აძგერდა,
ეგ გული ჩაფიქრებული,
შენგნით გაიცნო ცხოვრების
მორევი აზვირთებული;
    შენგნით აკვნესდენ სიმები
ჩემ ნაღვლიანი ჩანგისა,
შენგნით შეიქნენ მგმობელნი
მონობისა და ჩაგვრისა.
    და დაე შენი გულისთვის
შეჩერდეს ძგერა გულისა,
დაე შესწყვიტონ სიმებმა
სიმღერა სიყვარულისა;
    დაე დავდუმდე სამუდმოთ,
მოვკვდე მე შენსა ტრფობაში,
ჩვენ ხომ სამარეც ვერ გაგვყრის
ჩვენ ერთგულს მეგობრობაში,
    ჩემო სხივმფენო ვარსკვლავო,
იმედო გულის, გონების,
მნათობო დაუძლეველო
ჩემ მოწყენილი ცხოვრების!..

კ. გოგოლაძე.

ი. ს. ფ ნ ტ ხ ვ ა ს „თხზულებანი“

II

(იხ. „ვალი“, № 4.)

ფილოსოფია ეძიებს, უფრო მართლათ რომ ვთქვათ ეძიებდა, ყოველი არსებულის დასაწყისს და მის შეგნება-გამოცნობას. მეცნიერებაც ამას იკვლევს და ეძიებს მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ წარსულში ვიდრე ჩვენ დრომდე მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული იყო ცალკე საგნების შესწავლაზე და გამოცნობაზე. ფილოსოფიისათვის კი ცალკე საგანი არსებობდა; იგი ცდილობდა ყოველივე არსებულს გაერთიანებას, და საერთო დასაწყისის გამოცნობას. როგორც ალგებრაში არ არსებობს კერძო შემთხვევები და იგი თელი რიგი შემთხვევებისათვის იძლევა ზოგად ფორმულებს, ისე ფილოსოფიისათვის არსებობს მხოლოდ ობიექტი (ნივთი, საგანი) ანუ ის, რაც გამოსაცნობია, და სუბიექტი, ანუ ის, ვინც ობიექტი (საგანი) უნდა გამოიცნოს და შეიგნოს.

უკვე ფილოსოფიური აზროვნების პირველ საფეხულზევე ჩვენ ვხვდებით შემდეგ კითხვას: რა შეადგენს არსებულის დასაწყისს; მატერია, ნივთიერება, თუ ხელი ანუ იდეა, ან შეიძლება ერთ და იმავე დროს ორივე, როგორც მატერია, ისე სულით, დამოუკიდებელი დასაწყისია. ამის მიხედვით, თუ რომელ პრინციპს იღებს საფუძველათ ეს არის ფილოსოფიური სისტემა, მას დაერქვა მატერიალისტური იდეალისტური და დუალისტური. მთელი წარსული ფილოსოფია არსებითათ შეიცავს ზევით ნაჩვენებ ძირითადი კითხვის გამოკვლევას და გადაწყვეტას. რასაკვირველია, იმის გამოკვლევა, თუ რა შეადგენს არსებულის დასაწყისს, ბაღებს მრავალ სხვა კითხვებს, რომლების გამოკვლევა და ასე თუ ისე გადაწყვეტა წარსულმა ფილოსოფიამ იკისრა. აი უმთავრესი ამ კითხვათაგანი: რა დამოკიდებულებაა ობიექტსა და სუბიექტს შორის, ან მატერიასა და სულს შორის? რაში მდგომარეობს ადამიანის ცოდნა, ანუ ობიექტის გაგება? არსებობს თუ არა პიროვანი ღვთაება და საიქიო ცხოვრება, თუ ყოველივე თავდება ამქვეყნიერ ცხოვრებით? არსებობს ეგრეთ წოდებულ „ნების თავისუფლება“, თუ ყოველივე ემორჩილება აუცილებლობას? ეს და მრ. სხვ. უმეტეს შემთხვევაში სხვა-და-სხვა ფილოსოფოსი ყველა კითხვების გადაწყვეტის დროს მხოლოდ იმეორებდენ თავისი გამოჩენილი და გავლენიან მოაზრეთა ნათქვამს, ასე რომ უფრო ღრმა და ნაყოფიერ ფილოსოფოსთა რიცხვი მეტათ მცირეა. მიუხედავათ ამისა, კაცობრიობამ წარსულ ფილოსოფიას უნდა დაუმადლოს აზროვნების საზღვრების გაფართოება, ლოგიკურ კანონების დადგენა, კვლევა-ძიების მეთოდების შემუშავება და მრავალი აღმოჩენები, როგორც ბუნების-მეტყველებაში, ისე ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებაში.

იმ უმთავრეს ფილოსოფიურ მიმართულებას, რომლებიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, ე. ი. მატერიალისტურს, იდეალისტურს და დუალისთურს, ჯერ კიდევ ძველ დროში მიეცა დასაწყისი. მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, რომლების გამოძიებას ჩვენ აქ არ გამოუდგებით, ძველ დროში მხოლოდ იდეალისტურ ფილოსოფიას დაეტყო წარმატება, განსაკუთრებით პლატონის და არისტოტელის შესანიშნავ სისტემებში. შემდეგ მრავალ საუკუნოების განმავლობაში ფილოსოფია საზოგადოთ დაეცა და ამ დროს კმაყოფილდებოდენ მხოლოთ პლატონის და არისტოტელის განმეორებით, უფრო კი რყვნიდენ და ამახინჯებდენ იმათ სისტემას. მხოლოდ ახალ დროში, განსაკუთრებით კანტიდან დაწყობილი, იდეალისტურმა ფილოსოფიამ ერთხელ კიდევ მიიპყრო თავისკენ საყოველთაო ყურადღება. ყველაზე უფრო შესანიშნავი ამ ახალ ფილოსოფიაში იყო ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფია, რომელიც სრული დაგვირგვინება და დასრულება იყო იმ დიდებულ ფილოსოფიურ მოძრაობისა, რომელიც იწყება დეკარტით და ლეიბნიცით და რომლის შესანიშნავი გამგრძნობნი იყვენ კანტი, ფიხტე და შელლინგი. აქედან აშკარაა, რომ ჰეგელის ფილოსოფიის გაცნობისათვის საჭიროა მთელი ახალი დროის ფილოსოფიის შესწავლა და გაცნობა, მგრამ ჩვენთვის ეს აქ შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით აღვნიშნავთ ჰეგელის ფილოსოფიის კავშირს წინანდელ ფილოსოფიასთან. დავიწყოთ კანტიდან.

კანტი [1]) ამტკიცებს, რომ ბუნება და აუცილებლობა დამოკიდებულია ინტელექტზე, გონებაზე, და მხოლოდ მისთვის (გონებისათვის) არსებობს. მაგრამ გონება არის არა მარტო ოდენ შეგნება, ის ამავე დროს თვითშეგნებაცაა. ის არა თუ განისაზღვრება გარეშე ბუნების მიერ და თავის თავს თვლის ბუნების ნაწილათ, არამედ ის თვითონ განსაზღვრავს თავის თავს და ამიტომ მიაჩნია თავისი თავი თავისუფლების ქვეყანაში. აქედან წარმოდგა ყოვლათ შეურიგებელი დუალიზმი, რომელსაც კანტი ამაოთ ცდილობდა შეესწორებია: „გრძნობა და გონება, აუცილებლობა და თავისუფლება, მოვლენა და სინამდვილე (ფენომენალური და რეალური), ბუნება და სული, ცოდნა და სარწმუნოება,—ყველა ეს ისეთი წინააღმდეგობანია, რომლებსაც კანტი ვერც აშორებს ერთი მეორეს და ვერც არიგებს“. მართალია ამ წინააღმდეგობათ კანტი გვიხატავდა როგორც აუცილებელ საფეხურს აზროვნებასა ტ სინამდვილეში, ვინაიდგან ადამიანის ცხოვრების დრამა ბრძოლაა თავისუფლებასა და აუცილებლობას, სულსა და ბუნების შორის. მაგრამ ეს არ იყო შერიგება. მართალია, კანტმა

[1]) შემდეგში ჰეგელის ფილოსოფიის შინაარსის გადმოცემაში სადაც სხვა წყაროს არ ვასახელებთ, ჩვენ ვსარგებლობთ ინგლისელი პროფესორის კერდის წიგნიდან: „Гегель“; რუს. თარგ. ტრუბეცკოის რედაქტორობით 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიჩვენა, თუ საიდან იღებს ადამიანის გამოცდილება თავის საფუძველს და სცადა სულის და ბუნების შერიგება, მაგრამ იგი მაინც ვერ აცდა დუალიზმს და მეორე მხრით სამუდამოთ დაგვიტოვა „საგნები თავის არსებაში“ (“вещи въ себѣ“) რასაც ადამიანის გონება თავის დღეში ვერ მიწვდება. კანტის ფილოსოფიის განვითარებას შესაძლებელი იყო სამნაირი შედეგი მოყოლოდა: უპირატესობა მიეცემოდა ან სუბიექტს, „მე-ს“, ე. ი. სულს, ან და როგორც ბუნებას, ისე გონებას მიენიჭებოდა ერთნაირი თვისება, ორივე გამოცხადდებოდა ერთი მეორის სრულლ მსგავსებათ. მაგრამ შესაძლებელი იყო მესამე გზაც: განხეთქილება და წინააღმდეგობა ბუნებასა და გონების შორის გამქრალია; ყოველგვარი განსხვავება შემდეგია იმ კანის ცვალებადობისა, რომლის ქვეშ იფარება აბსოლუტური ერთნაირობა. პირველ გზას დაადგა ფიხტე (სუბიექტიური იდეალიზმი), მეორეს—შელლინგი (ნატურ-ფილოსოფია და ერთნაირობს ფილოსოფია). მესამე გზა აირჩია ჰეგელმა, რომელმაც კანტის დულიზმის ფიხტეს შელლინგის ცალმხრივ განმარტებათა დაფასებით შეიმუშავა უდიდესი ფილოსოფიური სისტემა, რომელშიაც თავიდან ბოლომდე დაცულია სასტიკი ერთიანობა და რომელიც უნდა დაყენებულ იქნას უშესანიშნავეს ფილოსოფიურ სისტემათ გვერდით.

ჰეგელს უნდა დაემტკიცებია, გვეუბნება--კერდი--რომ ბუნების და სულის სამფლობელო ერთი და ივივეა მიუხედავათ ყოველგვარ იმათ წინააღმდეგობათა. ამიერიდან თავისუფლების ხსნა აღარ შეიძლებოდა იმით, რომ იმას ათავსებდენ სხვა ქვეყანაში, სადაც ფიზიკურ აუცილებლობას ადგილი არ ქონდა. ჰეგელმა დაამტკიცა, რომ ეს თავისუფლება არსებობს ფიზიკურ აუცილებლობაში და განხორციელდება ამ აუცილებლობის შემწეობით. ჰეგელ ასე ასრულებს დანიშნულებას. ყველაფრის დასაწყის იგი ხედავს „იდეაში“, ანუ ეგრეთ წოდებულ „აბსოლუტურ სულში“. მთელი ბუნება მხოლოთ ამ იდეის განხორციელებაა, თანდათანობითი და ლოგიკური განვითარების საშუალებით, ჰეგელის აზრით აბსოლიუტური იდეა“ არსებობს თავიდანვე (არსებობა თავისთვის—**бытіе въ себѣ**); შემდეგ ეს იდეა გადმოდის ბუნებაში. იმოსება ტყავით,—ეს არის არსებობა თავისი თავის გარეშე (**бытіе внѣ себя**), ანუ სხვა ნაირათ რომ ვთქვათ თავისი თავის განათხოვრება (**отчужденіе**). ბუნების უმდაბლეს საფეხურზე, ე. ი. არა ორგანიულ ბუნებაში და დაბალ ორგინიზმებში აბსოლუტური იდეა იმყოფება შეუგნებელათ; მხოლოდ ორგანიულ ბუნების უმაღლეს საფეხურზე ე. ი. ადამიანში იდეა იღვიძებს ‐ იგნებს თავის თავს, რათა სარწმუნოების, ხელოვნების ‐ ფილოსოფიის საშუალებით ხელ ახლად აუბრუნდეს თავის თავს უფრო განვითარებული და დასრულებული სახით, ვინემ წინად იყო (**бытіе въ себѣ и для себя**). ჰეგელის წარმოდგენით აბსოლუტური იდეა, და მაშასადამე, მთელ ბუნება, ადამიანის გონებაში იგნებს თავის თავს, ახწევს თვით შეგნებამდე. ამ გზით ერთხელ და სამუდამოთ აცილებულ იქნა თავიდან ყოველგვარი დუალიზმი და ყოველ გვარი ცალმხრივი შეხედულებანი. ამას შემდეგ ადგილი აღარ აქვს კანტის საგნებს „თავის არსებაში“ („**вещи въ себѣ**“). ამნაირია მოკლეთ ჰეგელის სისტემა. არსებითათ ჩვენთვის აქ მნიშნელობა არა აქვს ამ სისტემას, რომელიც თავიდან ბოლომდე იდეალისტურია და დამყარებული აბსოლუტური სულის მოძრაობაზე.

ჰეგელის ფილოსოფიის დაფასების დროს ჩვენი უმთავრესი ყურადღება იმაზე უნდა იყოს მიქცეული, თუ როგორ, რა გზით და საშუალებით ხდება ბუნებაში და ისტორიაში განვითარების პროცესსი. ჰეგელმა დაგვანახვა, რომ ბუნებაში და ისტორიაში სამუდამოთა, ერთ წერტილზე გაყინული არაფერი არ არის, არამეთ ყოველივე იცვლება და მოძრაობაშია. იმავე დროს მანვე დაგვიმტკიცა, რომ თავისთვის, გარეგანთ, ანუ დამოუკიდებლათ აქ არაფერი არ არსებობს. ‐ საგნები და არც ცნებები არ უნდა იქნენ მიღებული თავის შინაგან ერთიანობაში, როგორც დამოუკიდებელ და განცალკევებული არსებობანი, რომლებიც დამოკიდებულია მხოლოდ თავის თავზე. როგორც საგნები ისე, ისე მცნებები აუცილებლათ შეადგენენ მთელის ნაწილს, ანუ საფეხურს ერთ და იმავე პროცესსში“. ამიტომ ჰეგელი ამბობს: „სინამდვილეში (რეალურათ) არაფერი არ არსებობს, რაც არ განისაზღვრებოდეს რაიმე სხვით და არ იყოს დაკავშირებული (დამოკიდებული) რაიმე სხვასთან. არაფერი არ არის, რაც არ იმყოფებოდეს გენეზისის ანუ ცვალებადობის პროცესსში“. ამნაირათ საგანი არსებობს და არც არსებობს; იმის არსებობა არის გენეზისი, გახდენა (das Werden—становленіе) ანუ ცვალებადობა იგი არ არის, იგი იცვლება. თითოეულ განსაზღვრულ საგანს იმის გამო, რომ იგი განსაზღვრულია, დამოკიდებულება აქვს იმაზე, რაც იმას საზღვრავს, და ამის გამო თავისივე არსებაში შეიცავს თავისი დარღვევის პრინციპს. მაშასადამე, საგანი თავის არსებაშივე იპყრობს თავის შინაგან წინააღმდეგობას: ‐ ერთ და იმავე დროს იგი გავს და არც გავს თავის თავს; იგი არის თვითონ და არის სხვაც. იგი ებრძვის თავის თავს და მისი სიცოცხლის პროცესსი არის დარღვევის პროცესსი“ [2]).

ასეთივე პროცესს ექვემდებარება აზროვნებაც. მთელი აზროვნება პროცესსია, რომელიც გაივლის რამდენსამე საფეხურს. თითოეული ამათგანი აუცილებლათ იწვევს მეორეს. ამ ფაზისების გაერთება შეადგენს აზროვნებამ. მაგრამ მოძრაობა აქ არ ჩერდება. იმ მცნებას, რომელსაც აზროვნება ამ საშუალებით მიაღწია, აქვს თავისი საწინააღმდეგო მხარე, და უარყოფა, რომელსაც იგი ერთ და იმავე დროს უარყოფს და იპყრობს. აზროვნების განვითარების ძირითადი მიზეზი არის წინააღმდეგობა, უამისოთ არ არის მოძრაობა, არ არის სიცოცხლე. ფილოსოფიური შეგნება იწყება მსჯელობით, რომელიც ყოფს მთელს ნაწილებათ, აცალკევებს მცნებებათ და იმათ ერთი მეორეს უყენებს. ეს არის აზროვნების პროცესსის პირველი საფეხური, ანუ მომენტი, როცა ჭეშმარიტება გვეჩვენება მხოლოთ ერთი, დადებითი მხრით (ტეზისი); ამას მოსდევს მეორე მომენტი მცნების თვისით უარყოფა შინაგანი წინააღმდეგობის გამო (ანტიტეზისი). მცნების ამ თვით უარყოფის შემდეგ ჩვენ ვღებულობთ მესამე მცნებას, უმაღლეს და მდიდარს შინაარსით (სინტეზი). ეს ტეზისი ანტიტეზისი სინტეზი სხვა სიტყვებით კიდევ ასე შეგვიძლია გამოვხატოთ: თითოეული ცალკე შეგნება ერთმხრივია, იგი წარმოგვიდგენს მხოლოთ ჭეშმარიტების ერთ ნაწილს, ერთ მხარეს. ამიტომ იგი საჭიროებს თავისი მოწინააღმდეგე მცნების დამატებას, და როცა ამასთან შეერთდება, მაშინ წარმოგვიდგება უმაღლესი მცნება. ამაში იხატება საყოველთაო დიალექტიური პროცესსი, რომელიც ერთ და იმავე დროს მეთოდიც არის და შინაარსიც. დიალექტიური პროცესსი არის ყოველგვარი პროგრესსის (წინმსვლელობის სული).

ზევით ჩვენ დავინახეთ, თუ რას ნიშნავს ჰეგელის ენაზე „არსებობა“ და არ-„არსებობა“. ეს გვაახლოვებს ჩვენ იმასთან, რასაც საზოგადოთ უწოდებენ საგნის „თვისებას“ და „რაოდენობას“. უწინარეს ყოვლისა ჩვენ ვამჩნევთ საგანში განსაზღვრულ თვისებას და ამ თვისების რაოდენობას. მაგრამ ეს მხოლოთ დაკვირვების პირველი საფეხურია, შემდეგ ჩვენ ვამ-

[2]) იხ. ბელტოვი. მონიტს. შეხედ. ისტორიაზე, გვ. 75—76.

ჩნევთ, რომ როგორც თვისება, ისე რაოდენობა მუდამ იცვლებიან, უფრო ღრმა დაკვირვება იმასაც გვეუბნება, რომ თვისება და რაოდენობა იცვლებიან ყოველთვის ურთიერთ დამოკიდებულებაში. როგორც ერთი, ისე მეორე დამოკიდებულია ერთი მეორესაგან, ასე რომ სულ მცირეოდენი დაკლება ან მომატება რაოდენობისა უეცარივ იწვევს თვისების ცვალებადობას. ამავე დროს იმასაც ვიგებთ, რომ თვისების ცვალებადობა შემთხვევითი მოვლენა როდია; პირიქით, ყოველი თვისება, რამდენათაც იგი არსებობს, იმყოფება ცვალებადობის პროცესსში'' [3]). ამნაირად რაოდენობა მატერიის და მოკლების საშუალებით გარდაიქცევის თვისებათ, რომელიც, როგორც ასეთი, მუდამ ცვლალებადობაშია. აქედან ჰეგელძა შეურყეველათ დაამტკიცა, რომ როგორც ბუნებაში, ისე ადამიანთა საზოგადოებაში ისტორიაში განვითარებაში ისეთსავე აუცილებელ მომენტს შეადგენენ, როგორც რაოდენობის თანდათანობითი ცვლილებანი. „არსებობის ცვლილებანი—ჰეგელის სიტყვით—მდგომარეობენ არა იმაში მხოლოდ, რომ ერთი რაოდენობა მეორე რაოდენობაში გადადის, მაგრამ იმაშიაც, რომ თვისება იქცევა რაოდენობათ, და პირიქით თითოეული ასეთი გადასვლა თანდათანობის შეწყვეტა'' და იგი აძლევს მოვლენას ახალ სახეს, რომელიც თვისებით განსხვავდება წინანდელისაგან. მაგ. წყალი გაცივების დროს მაგრდება, არა თანდათან, არამედ ერთბაშათ... ზნეობრივ მოვლენებშიაც ასეთივე გადასვლაა რაოდენობის თვისებაში, ანუ განსხვავება თვისებებში იქაც დამყარებულია რაოდენობრივ განსხვავებაზე. მაგ., ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები შეადგენს იმ საზღვარს, რომლის იქით ცვლილებობა გარდაიქცევა სულ სხვა რამეთ, დანაშაულათ... ესა თუ ის კანონები, ესა თუ ის სახელმწიფო წესწყობილება ღებულობს სულ სხვა გვარ მნიშვნელობას სახელმწიფოს ტერიტორიის და მოქალაქეთა რაოდენობის გადიდების გამო" [4])...

„ფილოსოფიის ისტორიაში", ჰეგელი გვეუბნება, რომ მსოფლიოს სული ანუ აბსოლუტური იდეა მუდამ მოძრაობაშია, იგი არასოდეს არ არის გაჩერებული ერთ ადგილას. იგი შეურყეველათ მიდის წინ, ვინაიდან ეს მოძრაობა შეადგენს მის ბუნებას. ხანდისხან, გეგონებათ, რომ იგი შეჩერ-ᲔᲑᲐ, რომ იგი კარგავს თავის მუდმივ მისწრაფებას თვით შეგნებისადმი. მაგრამ ეს მხოლოთ ჩვენ გვგონია. ნამდვილათ კი ამ დროს მასში ხდება დაუცხრომელი მუშაობა, შეუმჩნეველი მანამ, სანამ არ გამომჟღავნდებიან მის მიერ მიხწეული შედეგები, სანამ არ იქცევა მტვრათ მობერებულ შეხედულებათა საფუძველი, და თვით ის (მსოფლიოს სული) ისევ განახლებული, არ გაუდგება წინ ვეებერთელა ნაბიჯით" [5]). თუ რა ნაირათ ხდება ამ მობერებულ შეხედულებათა და წესწყობილებათა დარღვევა, ამის ახსნას ჰეგელი ცთილობს ფილოსოფ სოკრატის მაგალითით. ჰეგელი გვეუბნება, რომ სოკრატის შეხედულებათა გავრცელება ნიშნავდა ათინელების ძველ წესწყობილების მოსპობას. ამისათვის ათინელებს ვერ გავამტყუნებთ იმაში, რომ სოკრატს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, როცა ისინი დარწმუნდნენ, რომ ეს მოაზრე იმათ ძვირფასი საზოგადოებრივი წეს-წყობილების მტერი იყო. მაგრამ ეს ცოტაა: ისინი ვალდებული იყვნენ დაეცოთ ეს საზოგადოებრივი წესწყობილება. მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ, რომ სოკრატი თავის მხრით მართალი იყო. იგი გამოვიდა, როგორც ეტყობა, ბული Ხარმომადგენელი ახალი უმაღლესი პრინციპისა. იგი იყო გმირი, რომელსაც ჰქონდა თავის სასარგებლოთ მსოფლიო სულის ამბსოლუტური უფლება. ამნაირია მსოფლიო ისტორიაში გმირების მდგომარეობა, რომლებიც ქმნიან რა თავის მოქმედებით ახალ წესწყობილებას, წინააღმდეგნი უხდებიან ძველ, მობერებულ, წესწყობილებას და სპობენ იმას. ისინი გამოდიან არსებულ კანონების დამრღვეველებათ. ამისთვის ისინი იღუპებიან, მაგრამ იღუპებიან როგორც კერძო პირები. იმათი დასჯა არ აქრობს იმ პრინციპს, რომლის წარმომადგენელნი ისინი იყვნენ. პრინციპი მაინც იმარჯვებს შემდეგში" ისტორია არა ერთ და ორს მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, როცა ერთი ერთმანეთს ეჯახება ორი ერთი მეორეს მოწინააღმდეგე უფლებრივი პრინციპი. ერთი შეიცავს ძველი წესწყობილების უფლებას; მეორე კი იმას, რომელსაც იძლევა მუდამ წინ მიმფრინავი მსოფლიოს სული თავის მოძრაობაში.

მ. მარილაძე

(შემდეგი იქნება)

[3]) კამენსკის წერილი ბელინკისზე. იხ. Нов. Слово, 1897 წ. №10.

[4]) ბ-ნი ი. ფანცხავა, მოიყვანს რა ნ. ჟორდანიას წერილიდან ამ აზრის თანაბარ ადგილს, ასე დაასკვნის: ეს რა არის? ბოდვაა, თუ რა? მეცნიერებამ იცისო, რომ რღვევა-შენება ევოლიუციაოო! სიზიფის უნიადაგო და უნაყოფო შრომა... ევოლიუცია ჰგონია და თანაც უსირცხვილოთ გვეუბნება ეს მეცნიერებაო („თხზულ." გვ 69. შენიშვნ.) ბ-ნ ფანცხავას დიდ ევოლიუსციონისტათ მოაქვს თავი მაგრამ ეს არაფერს უშველის იმ გარემოებას, რომ იგი თავიდან ფეხებამდე მეტაფიზიკია და ევოლიუციონური მოძღვრების მას არა გაეგება რა.

[5]) იხ. კერდის წიგნი, გვ. 194—5.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ:

''კვალი'' № 4. მ. მარილაძის წერილი: ი. ს. ფანცხავას თხზულებანი, გვ. 9—48, 17 ᲰᲬᲙ. ზევიდან დაბეჭდილია; ახლო, უნდა იყოს ახალი. გვ. 10—49, 19 ᲰᲬᲙ. ქვეიდან დაბეჭდილია: არის საკმაოთ ცნობილი პირი, უნდა იყოს: ორს საკმაოთ ცნობილ პირთ. გვ. (16—55 23 ᲰᲬᲙ.) ზევიდან დაბეჭდ. წერილებით. უნდა იყოს წესდებით.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ...

მოთხრობა

ალექსი კაკაბაშვილის ნაამბობი.

(შემდეგი *)

VI

189... წლის ოქტომბერი. ამ ცოტას ხანში შემისრულდება ოცდა თვრამეტი წელიწადიო,—ასე იწყებოდა ფიჩხაშვილის თავგადასავალი—ოცდა თვრამეტი წელიწადი!.. სიზმარივით გაიარა ამ დრომ ჩემ თვალთა წინ და მერე რა მომცა? დაძაბუნებული სხეული, გარყვნილი გულის თქმა, წამხდარი ხასიათი!.. ვინ იცის, კიდევ დავესწრობი თუ არა ახალწელიწადს! შეიძლება რომ დავესწრო, რადგანაც ძვალტყავათ ქცეული სხეული ადამიანისა Ხშირათ რამდენიმე წელიწადი ატარებს ხოლმე განაწვალებ სულს ქვეყნისა და თავისდა სავალალოთ. მე კი აღარ მინდა სიცოცხლე ამ ყოფნაში!.. ნეტავ ახლავე მოვიდოდეს სულთამხუთავი და შემისვამდეს თავისს გამხმარ მხრებზე!..

„მაგრამ... არა! ცოტა კიდევ დამაცალე, შავო სიკვდილო, დამაცალე, ვიდრე ჩემის ცხოვრების აღწერას დავასრულებდე. იგი დამამშვიდებს მე, ხოლო სხვას კი ჭირის ოფლს დაასხავს და დაადიქრებს. ოხ! რა კარგი უნდა იყოს აზრიანი, დაკვირვებული სიცოცხლე!.. მაშ დავიწყოთ.

„მაგრამ საიდან დავიწყო? ვსთქვა ვინ იყო ჩემი დედ-

* იხ. „კვალი'' № 4.

ᲛᲐᲛᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲒᲘᲑᲐᲓᲔ, ᲡᲐᲓ ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ, ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲪᲐᲓᲔ? ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲠᲐ ᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲔᲠᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲝᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘ...

„ᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲘᲛ ᲔᲠᲘᲡᲐ, ᲘᲛ ᲣᲥᲜᲐᲠᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲔᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲗᲕᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲘᲡ ᲪᲮᲪᲮᲚᲐᲗ ᲓᲐᲯᲐᲠᲒᲕᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲚᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ... ᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲘᲛ ᲔᲠᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲗᲗᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲡ ᲙᲔᲚᲐᲠ ᲐᲠᲩᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘᲪ ᲨᲘᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗᲡ ᲡᲬᲐᲛᲔᲜ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲧᲕᲔᲓᲠᲘᲐᲜ, ᲒᲐᲠᲔᲗ ᲙᲘ ᲥᲔᲓ-ᲬᲐᲮᲠᲘᲚᲜᲘ, ᲣᲕᲘᲪᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲘᲨᲐᲠᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ... ᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲘᲛ ᲔᲠᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘᲪ ᲯᲕᲐᲠᲡ ᲒᲐᲪᲛᲔᲜ ᲗᲣ ᲥᲐᲗᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲓᲦᲔᲝᲑᲐᲡ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲛᲝᲤᲮᲘᲖᲚᲔᲑᲐᲡ... ᲛᲔ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ,— ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲙᲛᲐᲠᲐ! ᲩᲔᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲐ, ᲡᲐᲠᲙᲔᲐ, ᲩᲔᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲘᲡᲐ, ᲒᲐᲗᲐᲮᲡᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ!.. ᲛᲐᲨ ᲘᲡᲔᲕ ᲙᲔᲠᲫᲝᲗ ᲩᲔᲛ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲕᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑ.

„ᲛᲔ ᲓᲐᲕᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲕᲐᲠ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ. ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲓᲔᲓᲐᲡ ᲙᲘ ᲛᲝᲕᲔᲡᲬᲐᲠ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲗᲐᲪ ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲕᲘᲡᲘᲑᲐ-ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲥᲛᲐᲜᲘ. ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲣᲬᲧᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ. ᲒᲔᲒᲝᲜᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲤᲗᲠᲐᲗ ᲡᲚᲝᲛᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲐᲗ-ᲙᲘ ᲒᲐᲣᲩᲔᲜᲘᲐᲗ. ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲝᲬᲣᲬᲣᲜᲔ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲣᲠᲐᲕᲘ, ᲡᲣᲚ ᲗᲐᲕᲘᲡᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲡᲢᲘᲠᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲐ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲐᲛᲝᲐᲒᲓᲔᲑᲓᲐ. ᲗᲐᲕ-ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲔ, ᲐᲛᲐᲧᲘ, ᲒᲣᲚᲖᲕᲘᲐᲓᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲐᲗ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲐ ᲡᲗᲕᲚᲘᲓᲐ. ᲛᲣᲦᲗᲐ ᲢᲐᲑᲚᲐ-ᲮᲝᲠᲐᲒᲡ ᲓᲐᲰᲘᲯᲕᲣᲚᲘ, ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲘᲗ ᲐᲕᲡᲔᲑᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲛᲐ ᲡᲘᲚᲐᲠᲘᲑᲔᲛ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐᲐᲢᲣᲓᲐ ᲥᲛᲠᲘᲡ (ᲛᲐᲛᲘᲩᲛᲘᲡ) ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲣᲐᲠᲔᲡᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲐᲗᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲒᲣᲚᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ ᲐᲣᲕᲡᲝ.

„ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲐ-ᲠᲐ, ᲡᲬᲐᲛᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐ: ᲙᲐᲪᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲕᲐᲡ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲯᲐᲛᲝᲡ, ᲡᲮᲕᲐᲡ ᲒᲐᲣᲑᲐᲢᲝᲜᲓᲔᲡ, ᲒᲐᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲓᲔᲡ, ᲒᲐᲛᲔᲓᲘᲓᲣᲠᲓᲔᲡ, ᲒᲐᲘᲜᲡᲝᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲜᲐᲢᲠᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲣᲠᲛᲝᲛᲯᲠᲘᲚᲘ ᲧᲛᲐ ᲘᲧᲝᲡᲝ.

„ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲗ ᲣᲕᲘᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲓᲔᲓᲐ-ᲩᲔᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲔᲒᲝᲜᲐ. ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲘᲧᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠ ᲑᲝᲥᲐᲣᲚᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲓᲘᲓᲠᲝᲜᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲐᲑᲠᲘᲙᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ, ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲛᲝᲑᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲓᲘᲓᲠᲝᲜᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲐᲑᲠᲘᲙᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ, ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲛᲝᲑᲐ, ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ. ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲒᲝᲜᲐ ᲠᲐᲛ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲖᲦᲐᲠᲐᲗ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐ. ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ, ᲓᲔᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲐᲗ ᲔᲡᲛᲝᲓᲐ: ᲡᲬᲐᲛᲓᲐ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲔᲑᲘ, ᲮᲐᲢᲔᲑᲘ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘ, ᲛᲦᲕᲓᲚᲔᲑᲘ, ᲑᲔᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲗ-ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲜᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲪᲠᲣᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐᲓ, ᲓᲐᲛᲐ ᲚᲛᲔᲠᲗᲘᲡᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲰᲐᲢᲣᲚ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲡ ᲐᲜᲗᲔᲑᲓᲐ, ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲡ ᲓᲐᲛᲐ ᲚᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲠᲒᲐᲛᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲮᲝᲚᲝ ᲫᲔ ᲚᲛᲔᲠᲗᲡ ᲙᲘ ᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲛᲐ ᲚᲛᲔᲠᲗᲡ ᲨᲔᲛᲐᲮᲕᲔᲬᲔᲗ.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲙᲘ ᲫᲠᲘᲔᲚ ᲕᲣᲧᲕᲐᲠᲓᲘ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲧᲕᲐᲠᲓᲘ ᲘᲡᲔ ᲛᲮᲔᲪᲣᲠᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲠᲝᲮᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲮᲑᲝ! ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲐᲜᲔᲑᲘᲕᲠᲔᲑᲓᲐ. ᲛᲘᲚᲝᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲙᲛᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?! ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘᲡᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲣᲛᲧᲝᲗ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲝᲓᲐ, ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ! „ᲘᲧᲐᲕ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲐᲝ“. ᲐᲘ, ᲐᲛ ᲝᲠ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘᲐ ᲓᲔᲓᲘᲩᲔᲛᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ, ᲑᲣᲜᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲜᲘ, ᲢᲝᲚ-ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲜᲘ, ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲔᲠᲘ, ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲜᲘ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲪ ᲪᲠᲣᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲪᲠᲣ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲕᲡᲔᲑᲝᲓᲐ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲒᲣᲚᲘ.

„ᲬᲔᲚᲐᲜᲔᲕ ᲕᲡᲗᲥᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲡᲣᲚ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ. ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲠᲐ ᲒᲣᲚᲘᲡ, ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ! ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲔᲑᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲠᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲩᲐᲡᲐᲒᲓᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲔᲒᲠᲫᲝᲓᲐ-ᲠᲐ. ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲗ ᲮᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲔᲯᲔᲠᲔᲑᲐᲗ-ᲠᲐ! ᲔᲠᲗᲜᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲚᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲘ ᲙᲘ—ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲡ ᲣᲓᲐᲠᲔᲑᲓᲔᲜ. ᲔᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲠᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲫᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲪᲔᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲗ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲛᲐ.

,,ᲗᲣ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲥᲛᲐᲗᲐ-ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲤᲐᲡᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲝᲛᲑᲠᲝᲖᲝᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲗ ᲕᲘᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔ *), ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲜᲐᲥᲔᲑᲝᲡ ᲕᲔᲠᲡ ᲕᲘᲪᲧᲕᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲩᲔᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲗᲛᲐᲥᲪᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲛᲝᲘᲫᲔᲑᲜᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲜᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲫᲚᲔᲕ ᲩᲔᲛ ᲗᲐᲕᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲒᲚᲘᲡᲙᲔᲜᲐᲪᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ. ᲛᲔ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲘ, ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ, ᲛᲭᲔᲕᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲕᲘᲧᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲣᲗᲝᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲩᲜᲓᲐ. ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ? ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲕᲐᲘ ᲗᲣ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲚᲝᲜᲘ ᲘᲧᲕᲔᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔ ᲬᲐᲕᲔᲮᲓᲘᲜᲔ ᲩᲔᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ, ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ. ᲔᲠᲗᲘᲗᲘᲗ ᲡᲔᲪ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲕᲘᲜᲐᲘᲗᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲛᲣᲜᲝᲗ ᲡᲣᲯᲔᲓᲔᲑᲗᲐ ᲐᲓᲐᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲩᲔᲛᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ, ᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲢᲧᲣᲣᲑᲡ! ᲣᲐᲪᲠᲐᲕᲐᲗ ᲕᲐᲠ ᲩᲔᲛ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲡᲔᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲡᲐᲕᲘᲗ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲭᲙᲕᲘᲐᲜᲓᲔᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲠᲝᲛ ᲐᲦᲘᲐᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲪ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲐᲮᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲭᲣᲚᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ... ᲓᲘᲐᲮ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲜᲔᲑᲗ!..“

— ᲡᲠᲣᲚᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ! ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲗ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲫᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲭᲔᲠ. ᲝᲗᲐᲮᲘᲡ ᲓᲐᲧᲠᲣᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲛᲐ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲑᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲪᲔᲡᲝ, ᲖᲐᲜᲖᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ... ᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲓᲐᲕᲧᲘᲐᲚᲝᲑᲓᲘ ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲕᲐᲪᲝᲓᲘ ᲒᲐᲜᲛᲔᲒᲠᲫᲝ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲓᲐᲛᲔᲬᲧᲝ ᲐᲬ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲤᲘᲩᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲗᲣᲠᲘ, ᲗᲣ ᲓᲐᲛᲔᲮᲘᲐ ᲔᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲕᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲪᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲪ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲠᲐᲚᲐᲪ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲛᲛᲐᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲛᲘᲚᲠᲚᲜᲘᲓᲐ, ᲰᲝ-ᲐᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲠ-

*) ᲚᲝᲛᲑᲠᲝᲖᲝ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲨᲗᲐᲛᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲘᲙᲕᲚᲔᲕᲡ.

Ი.

თავოთ გავეხადნე... მაგრამ ბოლოს ისევ ცნობის-მოყვარეობამ დამძლია, მივვარდი სპანს, ბეჭებზე წამოვისხი, ფეხები ფ[illegible]ოსტებში ჩავყავ და ახლა მაგიდას მოვუჯექი, რომ უფრო გულ-დასმით გადამეკითხნა ამ უცნაურის კაცის უცნაური ამბავი.

„—ჰო, იმას ვამბობდიო—ჩავიკითვით—ბევრია ხევ შეთქი წამხდარი, დაცემული ადამიანი, რომელიც ბოროტათა ხმაროობს ნიჭს, სიცოცხლის კეთილმყოფელობას და თავისს მოძმეს კისერს ატეხინებს. პირველი იმათგანი გახლავართ მე—ნატერფალი ყოველივე სიავისა—ქვემორე ამისა ხელისა შემწერელი კირილე იაკინთეს ძე ფიჩხაშვილი. მერე რაბ დამცა ასე? თვით ცხოვრებამ, უვიცობამ, თვით ხალხმა! მაშ მე რა შეცაში ვარ? რისთვის, რისთვის შემომკვნესი შურით სავსე ჩემო გულო, რატომ არ მასვენებ ჩემო ამღვრეულო სინიდისო? იმიტომ რომ მებრძოლი უნდა ვყოფილვიყავ უსამართლობისა და მე კი დავემონე წუთიერ მაცდურებათ, განა? ოხ, უბედურო, ჩემო თავო!..“

,,ჩემი თავი კი იმ დღიდან მახსოვს, როდესაც 7—8 წლისა გადავხტი ჩვენის მეზობლის ბაღში, დავიპარე კიტრები და მერე მთელი ბოსტანი ძირიანათ გადავაბრუნე. ეს მოხდა ზაფხულის ერთ საღამოს, კალოობა იყო და გლეხები მინდვრათ იყვენ გასულნი.

მეორე დილით საწყალი გლეხი თავ-დავიწყებით ილანძღებოდა და შვილ მკვდარივით იხლაკნებოდა თავის განადგურებულ ნაამაგდარს რომ დაჰყურებდა. მე კი ვიდექ ჩვენის სახლის ბანზე და გლეხის უწმაწურ ლანძღვაზე გულიანათ ვხარხარებდი!

არ ვიცი, ჩემში არსებულ სიცოცხლის ზედმეტ ძალთა ბრალი იყო, თუ შეამომავლობითი ვერაგობისა, ეს კია, რომ იმ დღიდან ჩემი ხელი და ფეხი აღარ დამდგარა. მთელი დღეები დავეტიალობდი ჭალებში, ვენახებში, მინდვრათ. ვიჭერდი ჩიტებს, ვხოცდი მათ, ვუნგრევდი ბუდეებს, ვიპარავდი ხილს, ბოსტნეულობას და მგონი მთელი სოფელი გამენადგურებინა, რომ მეორე შემოდგომაზე მოულოდნელათ ერთ სამაზრო ქალაქში არ წავეყვანეთ და იქ ერთ ერთ სასწავლებელში არ მივებარებინეთ..

,,როგორც ტყის ნადირი, როგორც გალიაში გამოშწყვდეული თაგვი, ისე დავფრთხი, აუარებელი მოწაფეები რომ დავინახე. მეუცხოვა, შევდრკი, შევშინდი. პირველ ხანებში საშინლათ ვერიდებოდი ამხანაგებს და არც გული მიდგებოდა სასწავლებელში. ხშირათ დამიწყვია ხოლმე ღრიალი დაჭრილი მხეცივით და თვალები სულ ტყისკენ მეჭირა... სოფელი მენატრებოდა.

,,ოხ, სოფელო, სოფელო, დიდებულო ეტრატო, დიადის ბუნებისაო!! ქალაქის ბინძურ ცხოვრებით გაბინძურებული ადრე მოვაკლდი შენ მზერას და ამ მყრალ სარდაფში ისე ვკვდები, რომ უკანასკნელათაც კი ვეღარ ვიხილავ შენ მთაგორით დასერილ გულ-მკერდს, ვერ შევისუნთქავ შენ უკვდავება სუფთა ჰაერს, ყურს ვერ დავუგდებ შენ ანკარათა ჩქეფა-ხვივილს, ვერ დავსტკბები ამომავალის მზის ცქერით, ძლევა-მოსილის გვირგვინოსანისავით რომ გადმოდგება ხოლმე მთის ქედზე და უხვის ხელით აბნევს. სხივთა კონას ყრუ, ჯანღით დაბურულ ხევ-ხუვებში. ტყე ველათ გაღვიძებულ ფრთოსანთა ჟივილ-ჭიკჭიკი ვეღარ დამიტკბობს ყურთა სმენას. და მთის გიჟი სიო შავი ფიქრებით გახურებულ შუბლს ვეღარ გამიგრილებს... ვკვდები ძალღივით და მხოლოთ ახლა ვგრძნობ, რა დიდი საუნჯე წამართვეს შენის მოშორებით, როგორ დამღუპეს, რომ არ შემასწავლეს შენის დიადის ბუნების დიადი კანონები! ან კი ვის უნდა შეესწავლებინა, ვისა ჰქონდა ჩემი ჯავრი!! ჩვენი ხალხი ხომ ისე, ალალ-ბედზე, სცხოვრობს და სხვის გაკეთებულ ჭკვიანობა-ტაოდ[illegible]ლას!

,,პირველ წელიწადს სასწავლებლიდან რამდენ[illegible] სოფლათ (დედა მაშინ ჯერ ისევ ცოცხალი [illegible] ორჯელ გზიდან დამაბრუნა ჩემმა სახლის პატრონმა, ხოლო მესამეთ თვით დედაჩემმა გამომიგდო წინ და ცემა-ტყეპით ისევ ქალაქში ჩამომიყვანა. მეტი გზა არ იყო, უნდა დავმორჩილებოდი ჩემ ბედს. ნელ ნელა ამხანაგებსაც შევეჩვიე, რომლებიც მე ბევრით არა მჯობდენ. მომეტებული ნაწილი სოფლელები იყვენ და მალეც დავუმეგობრდით ერთმანერთს. მხოლოთ ქალაქელი ბავშვები განირჩეოდენ ჩვენგან: უფრო თავაზიანები, ლამაზათ თმა-დავარცხნილები და სუფთად გაწყობილნი გვრიტებივით დაგოგმანებდენ სოფლელ ოტროველათა შორის და ისედაკ გვიფრთხოდენ, როგორც მგლებს. მე შურით მევსებოდა გული ძხიარულებს, დედ-მამის გვერდით მყოფთ რომ ვხედავდი და როცა კი მოვიხელებდი ხოლმე რომელიმე მათგანს, ცემითა ვკლავდი... მაშინ აბა რა გამეგებოდა, მაგრამ ახლა კი მრწამს, რომ ჩემი ვერაგობა იმ ბოლმისა და დარდის ბრალი იყო, რომელმაც ჩემ გულში სოფლის, თავისიანების მოშორების შემდეგ დაიბუდა. ჩვენი დედ-მამა არ დასდევს, ბავშვის თვისებათ, არა ცდილობს გაიგოს მისი ნორჩი სულის კვეთება, მისი უმანკო გულის ტკივილები, იგი უაზროთ აჰყოლია სხვის ფეხის ხმას და თუ შვილი ლოგინათ არ ჩაკარდა, ჯან-საღი და ბედნიერი ჰგონიათ! ვაი ამ გვარის დედ-მამის შვილს და აკი მეც, უვიცი დედ-მამის შვილი, იმ თავითვე ვაეაბში ჩავვარდი?!.

,,ჩემგან ნაცემ ბავშვებს ჭირვით ვეჯავრებოდი და პირდაპირ რომ ვერას მიბედავდენ, უფროსებთან ჩუმ-ჩუმათ მაბეზღებდენ. უფროსებიც პირველათ გამიჯავრდენ, მერე გამასილაქეს და შემდეგებში კლასში მამწყვდევდენ ხოლმე და ,,ბეზაბეზა“ მაყენებდენ (ასე ვეძახდით უსადილოთ დატოვებას). ამ გვარ მოპყრობასაც შევეჩვიე, შევეჩვიე თვით სასწავლებელს, მისს გამგე-პატრონებსაც... ღმერთო ჩემო, რა იყო ეს სასწავლებელი!.. ახლაც რომ მაგონდება, სიმწარით თმები ყალყზე მიდგება. ეს სასწავლებელი კი არა ერთი რაღაც გარყვნილების, უწეს-რიგობის, დაბრიყვების და გადაგვარების აგუთხანა იყო? ორას-სამასი სხვა-და-სხვა წლოვანებისა და წოდების ყმაწვილი, სხვა და სხვა ოჯახისა და ცოდნის პატრონები, ღორ-ხბოსავით ვიყავით ერთმანეთში არეული და გულშემატკივარი არავინა გვყავდა, რომ იმ თავითვე რიგიან გზაზე დავეყენებინეთ. ფლიდობა, ორპირობა, თვალთმაქცობა, შიში, მუქარა და ჩვენთვის გაუგებარი და გამოუსადეგარის საგნების სწავლება, აი, ეს იყო მთელი შინაარსი იმ უკულმართის სასწავლებლისა!..

,,წლითი წლობამდის ვიკრიბებოდით ხოლმე დილა ადრიან სასწავლებლის ეზოში, რვა-ცხრა საათზე ირეკებოდა ზარი—ნიშანი გაკვეთილების დაწყობისა, ვიღაც უზნოე და უნიადაგო ხალხი ხბორებივით შეგვლალავდენ ხოლმე კლასში და მთელი საათობით გვაჭყვირებდენ: ,,ბა, ბუ, ბაა, ბუო!“ გარეთ კი ცხრა თვალა მზე საოცნებოთ ანათებდა ქვეყანას, ამაყ მთებს, გრუზა, სიცოცხლით სავსე ხეებს, ბაღებს, ვენახებს, მინდვრებს, ყანებს! რამდენი საიდუმლოება, რამდენი ცოდნა, რამდენი სიტკბო და სიამე მოგვენიჭებოდა იმ თავითვე ბუნებრივათ რომ აღვეზარდეთ, იმ თავითვე დედა-ენაზე რომ ესწავლებინათ ბუნებისა და ადამიანთა ურთიერთობა, მაგრამ ჩვენ ხომ მომავლისათვის არ გვამზადებდენ?

,,მახსოვს (და ან კი რა დამავიწყებდა!) ერთი დღე ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სწავლისა... კლასში სულგანაბულნი ვისხედით. ჩვენი მასწავლებელი ძერასავით დაგვტრიალებდა თავს და მოზვერივით იბღვირებოდა. ერთი მოწაფეთაგანი წიგნში გასაკვეთს ხმა მაღლა კითხულობდა და დანარჩენნი ყურს უგდებდენ. მოსაწყენი, გაუგებარი რაღაცა იყო. მე გულის-ყური ვ:ღარ მივადევნე და ფიქრით სულ სხვაგან წავედი...

,,გული სიამოვნებით მიცემდა, წარმოვიდგინე ჩვენი სოფელი. წარმოვიდგინე დედაჩემიც. ვითომ ისა ზის კაკალ ქვეშ და წინდებს მიქსოვს. მე კი დავრბივარ ვენახში, ვგოგრაობ ბალახებში... თავისუფალი ვარ, თავისუფალი, როგორც შვლის ნუკრი და ბედნიერი, როგორც ლაბუა ჩიტი...

,,ამ დროს საშინლათ დავიკივლე! მასწავლებელს გაპუცებული რომ დაუნახივარ, მოსულა ჩემთან და... ისე მაგრა ამიწია ყურის ბაბილო, რომ ყური ნახევრობამდის ამახია, მერე წამომაგდო ზეზე, ამომკრა ფეხი და კლას გარეთ გამომიძახა. ამხანაგებმა ყრუთ დააგმინეს და უფრო გაფაციცებით ჩაიცქერდენ წიგნებს, მე კი მივჯექ დერეფნის ყრუ კუთხეში და ვიტირე გულ-ამოსკვნით. ცხარე, უმანკო ცრემლით დავალბე ჩემი ოცნება და სისხლ ნარევი ნაღველი ჩავიწვეთე გულ-ღვიძლში... მე მგონია, ამ დღეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩემს გავერანებაში!..

,,ეჰ, მწარეა ჩემთვის ეს მოგონებანი, მაგრამ ბარემ ბოლომდის შევსვამ ტანჯვის ფიალას!

,,გაკვეთილებს შიგა და შიგ, დასვენების დროს, ან ქვიელ-ხვილით ვეედებოდით ღობე-ყორეს, ვკრიფობდ თ, ფეხის ადგილში პაპიროსს ვეწეოდით და ვილანძღებოდით უწმაწურის სიტყვებით, ან შიგ კლასშივე მალაყებს გადავდიოდით, ვბღლარძუნობდით და ვირთაგვებს დავსდევდით დასაჭერათ, რადგანაც სასწავლებლის შენობა, მისი ჭერიატაკი სიძველისა და სინესტის გამო დაცხავებული და ვირთაგვებით იყო სავსე. ხან კიდევ ვიგონებდით სხვა-და-სხვა ეშმაკობათ მასწავლებელთა შესაშინებელ-მოსატყუებლათ, ვამტვრევდით და ვამსხვრევდით იქაურობას. ვინ იყო ჩვენი ყურის-მგდებელი? პირ იქით ყოჩაღი და ამხანაგებში მიღებული ის იყო, ვინც კარგათ კრიფობდა, მადიანათ ილანძღებოდა. უსირცხვილოთა ცრუვობდა და მასწავლებლებს ატყუებდა. ან კი სხვა რა დაგვრჩენოდა? ჩვენი მასწავლებელნი მთვრალები, გახეთქილები მოდიოდენ კლასში და მთელი საათობით ან ილანძღებოდენ, ან ეძინათ და ან გვაჭიდავებდენ ხოლმე.

,,ახლა თქვენა გკითხავთ, როგორ წავიდოდა სწავლის საქმე ამ სასწავლებელში?

,,ყველაფერი გარეგნულათ იყო მოწყობილი. სასწავლებლის ზედამხედველი სულ იმის ცდაში იყო, რომ მასწავლებლები დაებრიყვებინა, თავის ყურ მოჭრილ მონათ გაეხადნა, მასწავლებლები კიდევ ჩვენზე ყრილობდენ გულის ჯავრს და ჩვენგან თხოულობდენ უსამზღვრო მორჩილებასა. ჩვენ და მასწავლებელთა შორის უფსკრული იდო, რომელიც ამოვსებული იყო კონდუიტებით, ჟურნალებით, სასწავლო ნივთებით, ჯაშუშობით, ქრთამით, სიფლიდით, თვალთმაქცობით და გაკვეთილების უაზრო კბილვით. ბევრი მასწავლებელთაგანი გონებრივათ გამოთაყვანების გარდა, ზნეობრივათაც ხრწნილა მოწაფეთ და ეს სრდომ-გომორი, ეს ფარისეველობაზე აშენებულ-აგებული აგურხანა იყო ის სასწავლებელი, რომელზედაც წელიწადში ასი და ათასი მანეთი ხარჯებოდა (რასაკვირველია, მშობელთა ჯიბიდგან ამოღებული), რომელსაც ყოველ შემოდგომაზე მოჩარდთა დედ-მამა ბუზებივ ით ეხვეოდენ და რომლის ზღურბლზე დამთენილი მათი შვილები უბედურათა და ბედნიერთა ითვლებოდენ''.

,,მე ვკვდები და ამიტომ ვლაპარაკობ ასე თამამათ, თორემ, ვიცი, ბევრი ჩემი ნაამხანაგარი, რომელიც ჯერ ისევ თავ-დ-ვიწყებაში სცხვრობს, ჩვეულებრივის ფარისეველურის ღიმილით მოისმენს ამ ჩემ სიტყვებს და გადაჭარბებულათ ჩამომართმევს, მაგრამ კარგათ რომ ჩაუკვირდეს თავის გულისთქმას, ჩემგან აწერილი საერთო შთაბეჭდილება სიმწარის, სიმართლის ჭირის ოფლს დაასხავს და დამეთანხმება, რომ ამ არა ბუნებრივმა, მშობლიურ აღზრდას მოკლებულმა სასწავლებელმა არა ერთი და ორი გაანადგურა, ხოლო ვინც ამ სასწავლებელში გამოზრდილი ახლა კარგ კაცათ ითვლება, იგი სხვა პირობებში ასი ათასჯერ უკეთესი იქნებოდა... ნეტა იმას, ვინც გაუძლო, გაუმკლავდა უკეულმართ სწავლის უკეულმართ ზე გავლენას! ჭეშმარიტათ იგი დიდ-ბუნებოვანი ადამიანი უნდა იყოს! მე კი მოხარული ვარ, რომ უშვილოთ გადავეგე, ვინაიდგან უკმეხ აღზრდის მეოხებით ჩემი გასაგისი მაინც აღარ დაწვრილმანდება!..

—

,,ჩემი ოცნება ჩემი ჯერეთ გამოურკვეველი მისწრაფებანი, ბუნებისაგან მოყვასთა სასიკეთოთ მონიჭებულნი ძალნი სიცოცხლისა იმ თავითვე, პატარაობაში მოსთუთქა, დათრთვილა და დააზრო პირველ დაწყებითმა არა სასურველმა სწავლამ, მაგრამ უარესი და უძნელესი იყო ჩემი ყმაწვილური ცხოვრება სასწავლებლის კედელთ გარეშე,—ჩემ ბინაზე.

,,ის სამაზრო ქალაქი, სადაც ჩვენი ღირს შესანიშნავი სასწავლებელი იმყოფებოდა, ყველა ქალაქებზე დაცემული და ზნე-წამხდარი ქალაქია! არ ვიცი, როგორ ატარებდა დროს მაშინდელი უმაღლესი საზოგადოება ამ ქალაქისა, მხოლოდ ის უბანი კი, სადაც მე ვბინადრობდი, სიღარიბისა, ყომარბაზობისა და გარყვნილების უბანი იყო. მთელი ქალაქის ზნე-დაცემულ ჯიბგირებს, ქურდებს და გლახაკებს, თითქოს განგებ, აქ მოეყარათ თავი და მთელი დღე ერთი ჩხუბი, აურ-ზაური და განგაში გაჰქონდათ... ღმერთო ჩემო! ახლა რომ ვუკვირდები ჩემ მაშინდელ ყოფნას ჭირის ოფლს მასხავს და სულით და გულით მეჯავრებიან ის დედ-მამანი, რომლებიც ხელმომჭირნეობის გულისათვის თავისს შვილებს განგებ ამ უბანში აყენებდენ. ამისთანა ღბადრუკები კი იმ დროს ძალიან ბევრი იყო, როგორც ღარიბთა უბანი, თვეში სამ-ოთხ მანეთად იბარებდენ მოწაფეთ გამოსაკვებათ და ჩვენი დედ-მამანიც, რომლებიც გროშისათვის თვით იესოს გაჰყიდდენ, თაფლის გუდასავით ეხვეოდენ ამ უბანს და თავისს შვილებს ვიღაც საეჭვო ყოფა-ქცევისა და მდგომარეობის ხალხს სიხარულით უტოვებდენ. უხაროდათ, რომ თვეში სამ მანეთად შვილსა ჰკვებავდენ. უხაროდათ, რომ მათ აღზრდაზე ბევრი არ ეხარჯებოდათ, ხოლო შვილი კი ნასწავლი გამოუვიდოდათ! ოხ, ხარბო და უწვრთნელო ადამიანო, რა ადვილათ იცი გულის დამშვიდება?!.

,,მე კი,—მართალი უნდა ვსთქვა,—დედიჩემის უილაჯობისა და უვიცობის მეოხებით მოვხვდი ამ უბანში. ვიღაც სომხის ოჯახმა ამიბარა თვეში სამ მანეთ-ნახევრათ. მოთინთლეს, თანხები შეუკრეს საცოდავ დედაჩემს და დამშვიდებული სოფელში დაბრუნდა.

მე დავრჩი ერთ ჭუჭყიან, ბნელ, ნესტითა და შმორის სუნით სავსე ოთახში, რომლის ერთ კუთხეშიაც დამიდგეს ხის, ფეხმონგრეული ტახტი, ერთი გიუჩორკავი, დანჯღრეული ხისავე სკამი და ასეთივე მაგიდა. მეორე კუთხეში იდგა

საწოლი დიასახლის-მამასახლისისა. ერთ-ერთ კედელზე ეკიდა თუნუქის პაწია ლამფა, რომელსაც მთელი შუშა თავის დღეში არა ჰქონია. ოთახის კუთხეებსა და ტახტის ქვეშ აქა-იქა ეყარა: გობი, ტაშტი, თუნგი და ათასი ოჯახური ხურდა-მურდა. ოთახს იატაკი მიწისა ჰქონდა, ჭერი—დამპალ-დახავსებული და მიწურივე ბანი. ავდრობისას სახლშიაც ისე სწვიმდა ხოლმე, როგორც გარეთ და აბა მაშინ უნდა გენახათ ჩემი ბინა, რომ მეგბრალებოდით! ჭუჭყითა და ტალახით სავსე საღორეს, საქათმეს უფრო ჰგავდა იგი ბინა, ვიდრე ბავშვის, ადამიანის სადგომს...

თვით ოჯახი დიდი არ იყო. ბაგრატა, მისი ცოლი კეკე და მე—8—9 წლისა,—აი, ესენი ვიყავით ამ ოთახში მობინადრენი. ბაგრატას ერთი კუდა ვირიცა ჰყავდა, რომელიც გარეთ ჩემ ფანჯრის წინ ება ხოლმე და ბზის გოდორში თავ-ჩაყოფილი, ყურების ბარტყუნით ბზეს უგემურათ ახრამუნებდა, ხოლო როცა აუშვებდენ ხოლმე, დინჯათ შემოდიოდა ოთახში და თავისს პატრონს სიამოვნებასა ჰგვრიდა.

ბაგრატას იგი ვირი მთელ ქვეყანას ერჩივნა. მას ანაცვალებდა ცოლსაცა და შვილსაც, რადგანაც იგი იყო ერთადერთი მისი მრჩენელი. როგორც ფეხზე მოვაჭრე, აჰკიდებდა ხოლმე ბაგრატა ზურგზე საწვრილმანოს, გაიგდებდა წინ და სოფელ-სოფელ დაახეტებდა. საწვრილმანოს ნაცვლად სოფლებიდან ჩამოჰქონდა კვერცხები, სიმინდი, პური, ქათმები, ჰყიდდა ბაზარში და ასე სცხოვრობდა.

როგორც შემდეგში მივხვდი, გარდა იმისა, რომ ჩემ შენახვაში აღებული ფული ხელუხლებლათ რჩებოდა, ბაგრატას მე ცოლის საყარაულოთ უფრო ვყავდი. ბაგრატა მთელ ორ-სამ კვირაობით გადიოდა სავაჭროზე, მე და კეკე კი ვრჩებოდით მარტოკანი და საშინელ გაჭირვებას ვიტანდით, მთელი წლის განმავლობაში არ ახსოვს, რომ მუცელი გამაძღარი გვქონოდეს.

კეკე არ იყო პოროტი დედაკაცი, პირ-იქით მეტისმეტათ შემიყვარა კიდეც, მაგრამ ბაგრატას ძრიელ ეჯავრებოდა ფულის ხარჯვა, გროშს არ ჩაუგდებდა ხოლმე ცოლს ხელში და სულ ილანძღებოდა: „ბევრს ნუ სჭამთ, თქვე ამოსაწყვეტებო, პურის ყიდვას ველარ ავდივარო. ისე დაურჩა იმას თავი, რაც ის ჩვენზე არას ხარჯავდა!.. პირველათ, შემოდგომაზე, კიდევ არა გვიჭირდა-რა, მაგრამ ზამთარში, როდესაც გზა შეიკრა თოვლისაგან და ბაგრატა მთელის თვით სოფელში მოემწყვდა, მე და კეკემ მოხარშულ სიმინდზე გადავიარეთ. ცეცხლი და სანათი საიდგან-ღა გვექნებოდა? დაღამდებოდა თუ არა, მოვგულავდით ხოლმე კარებს და ჩავეყრებოდით ლოგინში...

ეხ, კეკე, კეკე! დღეს შენ ცნობილი „კუპეწის“ ცოლი ხარ. ბაგრატამ აუარებელი ქონება შეიძინა და შენ საკუთარი ეტლითაც კი გატარებს, მაგრამ გახსოვს კიდევ ის შავი დღეები, გახსოვს კიდევ, რომ შენთვის წყალის ზიდვით მხრები მქონდა გადატყავებული? გახსოვს კიდევ შენი ეშმაკობა, შენი გარყვნილება?.. იქნება შენი თავი წმინდანი გგონია?!.

,,სიწმინდისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ კეკე მაშინ რომ ძრიელ ლამაზი იყო, ამას ლაპარაკი აღარ უნდა. როგორც მთვარე ღრუბლებიდან, ისე ანათებდა ხოლმე მისი ბადრი სახე და მშვენიერ, ხავერდოვან თვალებს ჯეირანივით ატრიალებდა. ჩასკვნილ-ჩასუქებული ვარდის კონასავით ღუოდა და სიცოცხლით სავსე, მარწყვივით მომწიფებულიყო. მაშინ კეკე შესაფერ ცხოვრებაში რომ ყოფილიყო, სწორეთ მშვენიერთა ხელმწიფე იქნებოდა, მაგრამ ტიალ სიღარიბეს,—თუ განგებ თავის მოღარიბებას, ჭუჭყსა და ქონში ამოეთხუპნა ეს მარგალიტი. იმდენ ღარიბულათ სცხოვრობდა მაშინ კეკე, რომ რიგიანი ლოგინიც კი არა ჰქონდა ღლისით სიცივისაგან გაყინული, ღამეც—გათენებამდის—ძალლივით კავკავებდა. მართალია, მეც კი გალელეჩებული ვეგდე ხოლმე დედიჩემისეულ დიდ საბანში გახვეული, მაგრამ—ვერ ვიტან ბრუნვაზუნე ქარის ბლუილის ზეგავლენის ქვეშ, მალე მიმეძინებოდა ხოლმე და ტკბილ სიზმრებს ვხედავდი...

,,შუა ზამთარი იყო. გათამამებული ქარაშოტი ეშმაკეულივით დაჰქროდა ჩვენს უბანში და იქაურ ქოხ-მახებს განადგურებას უპირობდა. ჩვენის ოთახის ფარღალალებში ქარი შემოჰქროდა და სიცივით ვიხოცებოდით.

— ამაღამ დიდი ყინვაა, ერთ ლოგინში დავიძინოთო!— მითხრა კეკემ და თავისთან დამიწვინა. ჩემი და მისი ლოგინი შევაერთეთ. რამდენიმე ღამე მეძინა ანგელოზივით კეკეს მკერდში ჩაკონებულს და მთბილოდა ისე, როგორც ღუმელში. ბედნიერი ვიყავ იმ დროს, უმანკო, როგორც მტრედი და უზრუნველი, როგორც ფრინველი! მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი, კეკეს ბორგვამა და ოხვრამ ერთ ღამეს აღარ დამაძინა! მალი-მალ აიღებდა ხოლმე ჩემ პაწია ხელებს, იკრამდა მკერდზე, იყლეტემდა მაგრათ, მეხუტებოდა და ძროხასავით მლოშნიდა... მე ვჯავრობდი, ვეღმურტულობდი, ვებუზღუნებოდი, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა და დასამშვიდებლათ საალერსო სიტყვებს მეუბნებოდა. მეორე დილით კამფეტებიც კი მომცა და სკოლაში ისე გამისტუმრა... ასეთ ყოფაში გამატარებინა კეკემ რამდენიმე დღე და ღამე და... ცხრა-ათი წლის ბავშვი უკვე გავირყვენი... ბავშური უმანკო ოცნება მომეშხამა. წინათ არა ერთხელ მიფიქრინა, როგორ დაშელწია თავი ბაგრატას ოჯახისაგან, მაგრამ ახლა ძალითაც რომ გავეგდეთ, აღარ წავიდოდი. მთელი დღე ლეკვივით შევცქეროდი კეკეს, ღამე მასთან ნეტარებით მეძინა და მზათ ვიყავ მისი ყურ-მოჭრილი მონა ვყოფილვიყავ!..

ეს იყო ჩემი პირველი სიყვარული!..

ია ეკალაძე.

(შემდეგი იქნება)

ბიბლიოგრაფია

„საქართველოს კალენდარი“ ვ. გუნიასი, რედაქცია ფ. გოგიჩაიშვილისა და ქართული კედლის კალენდარი.

ეს ორი კალენდარი ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემულია და როგორც ყოველივე ამ „საზოგადოების“ გამოცემა მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე რომელიმე კერძო ფირმის ან პირის გამოცემა.

ადვილი ასახსნელიცაა, რადგან ხსენებული ,,საზოგადოება'' ერთი საუკეთესო დაწესებულებათაგანია ჩვენში, მას ყველა სიმპატიით უყურებს და უკანასკნელ ხანებში ეს სიმპატია რეალურათაც გამოიხატა. ორ უკანასკნელ წელში მისი შემოსავალის ერთმა წყარომ, სახელდობრ საწვეერო ფულმა, იმდენათ იმატა, რომ თვით ამ ,,საზოგადოების'' გამგეობასაც არ დასიზმვია. არც სხვა წყაროებს ეტყობა ერთ დონეზე შეჩერება—ბალებიც, სეირნობებიც და სხვა მაგგვარები ხშირათ იმართება ამ საზოგადოების სახელით სხვა და სხვა ადგილას და ყველგან ერთნაირი თანაგრძნობით ეპყრობიან. ყოველივე ეს ადვილი ასახსნელია, თუ გაიხსენებთ რომ ,,საზოგადოების'' დევიზი ხალხში სინათლის შეტანაა, რომელსაც ეგრე რიგათ საჭიროებს ჩვენი ხალხი, მაგრამ (ჩვენში ხომ ყველაფერს ,,მაგრამ'' დაჰყვება!) სამწუხაროთ ამ საზოგადოების სიმპატიურობა უფრო განყენებული რჩება. ის უფრო ხსენებული დევიზის მკრთალი რეალური გამოხატულებაა, პრაქტიკული მნიშვნელობა კი ძლიერ მცირე აქვს, რადგან სხვა-და-სხვა მიზეზთა გაჭოწესდების მიერ აღნიშნულ მიზნის მისაღწევ საშვალებებს ვერ

ხმარობს და მით, რასაკვირველია, მ.ზანსაც დაშორებულია... ამ პირობებში, მოსალოდნელი იყო, რომ „საზოგადოება“ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდა წიგნების გამოცემას, გააფართოვებდა ამ საქმეს, რადგან მისი მოღვაწეობის ეს მხარე ჯერ განსაკუთრებულ ფარგალში არ არის მომწყვდეული და იგი შეიქნებოდა ისეთ ფირმათ რომლის გამოცემები ყველასთვის სანდო და საიმედო იქნებოდენ. საიმედო შინაარსით, რასაკვირველია. ყველა განათლებულ ერში არის ისეთი გამომცემელი ფირმები, რომელთა წიგნებში ფულის გაღება არავის ენანება და ეშინია; ყველა დარწმუნებულია, რომ ასეთი ფირმა თ-ვის მუშტრის ჯიბეში მარტო ანგარიშით არ ჩაყოფს ხელს, იცის რომ გამოღებულ საფასურში რასმე რიგიანს და სასარგებლოს მიიღებს. ასეთია მაგალ. რუსული ფირმები პოპოვის ქალისა, ვოლოვოზოვისა, „Просвѣщеніе“. თუ რა ბედნიერება იქნებოდა ასეთი სახელის დამსახურება ჩვენთვისაც და თვით საზოგადოებისთვისაც, იქიდანაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ამისთანა ფირმებს ეტანება ავტორებიც და მკითხველებიც – ავტორმა იცის რომ ფირმა გასავალს და ნდობას მოუპოვებს, ფირმაც არჩევით კისრულობს გამოცემას და თუ ის შეძლებულია ახალ ავტორებსაც დახმარებას უწევს და ბოლოს ფირმაც, ავტორიც და მკითხველიც მოგებული რჩება. მერე ყველაფერი ხელს უწყობს „საზოგადოებას“ ამ გზაზე შემდგომისათვის, მას ფულიც ეშოვება, ნდობაც აქვს, ავტორებსაც შემოიკრებდა, მაგრამ ის მაინც ერთ ადგილას დგას და „დედა-ენას“ და „ბუნების კარს“ ვერ გაცილებია. მართალია, ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი სხვა წიგნებიც გამოსცა, მაგრამ არც ერთი ისეთი არ არის, რომ რაიმე თავისებურ ფიზიონომიას აძლევდეს „საზოგადოების“ საგამომცემლო მოღვაწეობას.

ამ უკანასკნელ კატეგორიაში შესატანია მოხსენებული კალენდრებიც. „კედლის კალენდარს“ მაინც უფრო მეტი დაკვირვებით და ხელოვნებით შემუშავება ეტყობა. იგი გარეგნობითაც რიგიანთ და სუფთათ არის შედგენილი, კედლის კალენდრისთვის საკმაო ცნობებიც არის მოქცეული—ბიოგრაფიულ ისტორიული. აქ წლის პირველ ნახევარში მაინც, ყოველი ფურცლის უკანა გვერდზე ისეთი კითხვებია წამოყენებული, ისეთი საინტერესო ცნობებია მოყვანილი ბევრ ისტორიულ მოვლენათა შესახებ, რომ ოჯახში შემთხვევით შეკრებილ საზოგადოებას თავისუფლათ შეუძლია სასარგებლოთ გაატაროს საღამო ამ ტემებზე სჯა-ბაასით. მეორე ნახევარს უფრო აჩქარება ეტყობა, საზოგადოთ კი კალენდრის ნაკლულევანებას შეადგენს ლექსების სიმრავლე, რაც ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ მათი ამოკრება უფრო საადვილო საქმე იყო.

„საქართველოს კალენდარი“ (სტოლისა) წინანდელთან შედარებით ბევრათ შევსებულია, მაგრამ როგორც თვით რედაქტორიც ამბობს საკმაოთ შემუშავებული ვერ არის. ეს მით უფრო საკვირველია, რომ წიგნი გვიან გამოვიდა, მაშასადამე იმ აჩქარებას მაინც და მაინც ადგილი არ უნდა ქონებოდა, რომელსაც წინასიტყვაობაში იხსენიებს ბ. რედაქტორი. სხვათა-შორის საინტერესოა თვით წინასიტყვაობაც, რომელიც უფრო ბიბლიოგრაფია, ვიდრე რედაქტორული განმარტება და და კიდევ უფრო გაუგებარია რათ დასჭირდა ავტორ-რედაქტორს „საზოგადოების“ გამგეობაზე მითითება. რასაკვირველია, „საზოგადოება“ ყოველთვის პასუხისმგებელია გამოცემისათვის, მარა ჩვენ, მკითხველებს, ხომ უფრო რედაქტორთან გვაქვს საქმე. მართალია, პირველი ნაბიჯი ყველაფერში ძნელია, მაგრამ თუ სხვა არა ის სამსახური მაინც მიუძღვის ბ. გუნიას, რომ გვაჩვენა როგორი არ უნდა იყოს კალენდარი, თუ იმ საზომით არ ვიხელმძღვანელებთ, რომ ყველა კალენდარი უნდა სტყუოდეს. მაშ, ნახევარი საქმე მაინც გაკეთებული ყოფილა. მაგრამ არა, ძველი მემკვიდრეობა ახალ საქმესაც დასჩნევია და აი მაგალითათ ასეთი სიმპატიური დაწესებულების შესახებ სტყუის, როგორც არის ქართულის ახალი თეატრის სექცია—კალენდარში მოყვანილია სრულ პარადა, რომელნიც წინეთ იყვენ ამ საქმის სათავეში და დღეს ბევრი მათგანი უკვე არ არის. შარშანდელი კალენდრიდან კორექტურული შეცდომებიც ბლომათ მიულია სამკვიდროთ ახალს. ზოგიერთი გაუგებარი შეცდომაც არის ქართულის მხრივ; მაგალითათ таможня გადმოთარგმნილია „საბაჟეთათ“ და ასეა ჩამოყოლებული რამდენიმე გვერდზე, შემდეგ კი სწორათ არის ნახმარი „საბაჟო“. შესაძლებელია აქ შემდგენელი რუყევაში იყო, რომელი ფორმა ეხმარა, ან სიჩქარით მოუვიდა, მარა არც ასეთი სიჩქარე ვარგა და წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემებს მაინც არ ეპატიება. ასეთივეა ჩვენი აზრით ახლათ შემოღებული სიტყვა „დადროება“ რომელიც უდრის რუსულ „отсрочка“-ს და გვგონია თუ მას თან რუსულიც არ დაემატა, ვერავინ გაიგებს, მარა ამგვარ წვრილმანებზე არ გავჩერდებით, რადგან მართლაც შეიძლება ყოველივე ეს სიჩქარით იყოს გამოწვეული. მით უმეტეს არ გავუსვამთ ხაზს ამ ნაკლულევანებას, რომ ჩვენ შეცდომებიანი სიჩქარე გვირჩევნია უმოქმედო სიდინჯეს. საზოგადოთ ეს კალენდარიც საკმაო ცნობებს იძლევა*) და თუ გამომცემელმა შრომა არ დაიზარა ახლო მომავალში, შეუძლია იგი ყოველი ქართველი ოჯახისთვის აუცილებელ საჭირო წიგნათ გადაიქცეს. დრო კი არის გაგვათავისუფლოს ვინმემ იმ უგვანო კალენდრებისაგან რომელნიც საახალწლოთ მოეფინებიან ხოლმე ამერ-იმერეთს და ეს ყველაზე უკეთ რასაკვირველია ამ საზოგადოებას შეუძლია.

„საქართველოს კალენდარში“ ბევრი საყურადღებო წერილებიც არის მოთავსებული. ინტერესით წაიკითხება მაგალ. ივანენკოს წერილის თარგმანი: „საქართველოს მართვა-გაგეობა მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში“. „ენა და ერი“, პ. სურგულაძისა, „ქართული მწერლობა“ პ. უმიკაშვილისა, „სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმები“ და „ცა და დედამიწა“ X—სა, „ცვლილება სოფლის ხალხის ცხოვრებაში“ და სხვა ჩვენ ყველა ამ წერილების დაწვრილებით გარჩევას და გადმოცემას არ შევუდგებით. საზოგადოთ კი ყველა ორიგინალი წერილები რაღაც ზერელე მოსრიალე ნაწარმოებთ წარმოგვიდგენენ, მათში არავითარი სიღრმე, ძალა და საჭირო დასაბუთება არ არის. ხშირათ რამდენათაც თემა უფრო საინტერესოა, იმდენათ უფრო სუსტია წერილი. ასეთია, მაგალ., თუნდ ჩვენი კარგი ნაცნობი X-ის წერილი „სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმები“ აქ თუ გნებავთ ყველაფერიც არის და არაფერიც. თქვენ ტყობილობთ, რომ არის აბსოლიუტური ფორმა სახელმწიფოს წყობილებისა, ანუ თვით-მპყრობელობა, არის რესპუბლიკური, და კიდევ კონსტიტიციონური; მაგრამ არც ერთს დედა ძარღვს არ ეხება წერილი, არ არის განმარტებული მათი წარმოშობა-განვითარების კითხვა. რასაკვირველია, სხვაგან და სხვა ენაზე გამოცემულ კალენდარს ჩვენ ბევრს არ მოვთხოვდით, მაგრამ ჩვენმა კალენდარმა ჟურნალის თუ არა ალმანახის მაგიერობა მაინც უნდა შეასრულოს. მასალის შერჩევაში ეს სურვილი შემდგენელსაც ეტყობა, მაგრამ მიზნისთვის ვერ მიუღწევია. ასეთივე გაკვრითი წერილია „ცვლილება სოფლის ხალხის ცხოვრებაში“ და ბ. უმიკაშვილის „ქართული მწერლობაც“. უკანასკნელს სივრცით დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ შიგნით ყველაფერიც არის და არაფერიც. მაგ. „ახალი დრო“, როგორც ავტორს მოუნათლავს თავისი წერილის უკანასკნელი თავი. მეტათ მარტივათ, ქრონიკის სახით არის აღნიშნული და ისიც კი არაა სრული. ვტყობილობთ რომ მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში რაღაცნაირა სიომ დაბერა, მაგრამ რანაირი იყო,

ან დღესაც იმნაირია, იმავე კილოზე ლაპარაკობს თუ არა მწერლობა, ამისას ვერაფერს გაიგებთ. მისი ატესტაციას რომ გავყვეთ, გამოვა რომ ილია და აკაკი ბუმბერაზები არიან, ნიკო ნაშვილი და თუგინდ ყაზბეგი, იმდენი არა, მაგრამ ყველა ერთ ჰანგზე მღერიან—განსხვავებას არ გვიჩვენებს კია და! აღსანიშნავია ისიც რომ ბევრი ახალი მწერალი მოხსენებულიც არა ჰყავს ავტორს, თუმცა ვფიქრობთ, თუ ქ. განდეგილის აღნიშვნა საჭირო იყო, მის გვერდით ამოსაყენებელი სხვებიც მოინახებოდა თუ ქალებში არა კაცებში მაინც. ყველა წერილებში სასიამოვნოთ განირჩევა ,,ენა და ერი'', რომელიც სერიოზული შრომაა და კარგადაც აყენებს კითხვას, თუმცა ზოგს ერთ ადგილას პირადათ მე ვერ ვეთანხმები. 548 გვერდის ბოლოში ავტორი ამბობს: ,,ზოგიერთებისაგან მსმენია, ენის სხვადასხვაობა საერთო სოლიდარობის შემფერხებელიაო. ამიტომ არც ისე დასაცავია ამა თუ იმ ენის თავისებურებაო" და ამ აზრს ეკამათება. მართალია ავტორი ამ აზრის გამომთქმელთ (გულწრფელი) უმეცრების და უვიცობის დიპლომს აძლევს, მაგრამ ამას აღარ შევუშინდები და მაინც მივემხრობი. ავტორი ამბობს: სოლიდარობა ყოველთვის თანასწორობის ძმაა, სოლიდარობა იქაა, სადაც თანასწორობაა, როგორც ეროვნული, ისე პიროვნულიო" და მოყავს საფრანგეთის რევოლიუციის მოღვაწეების ავტორიტეტი. მაგრამ ეს ხომ არც ჩვენთვის და არც მისთვის სავალდებულო და შეურყეველი ავტორიტეტი არ არის. „კაცობრიული სოლიდარობა სრულიად არ მოითხოვს თვის პიროვნების ვინაობის უარყოფასო" ამბობს ავტორი. ამას არც ჩვენ მოვითხოვთ, მარა ეს აქ რა მოსატანია. ნუ-თუ ყველასთვის საანბანო ჭეშმარიტებასავის აშკარა არ არის, რომ ენათა სხვა-და-სხვაობა ერთობ ბევრს, საზოგადო კაცობრიული შეხედულებით რომ ვიხელმძღვანელოთ, უნაყოფო შრომას თხოულობს თუნდ სხვა-და-სხვა ხალხთა ერთისა და იმავე ნაწარმოების გასაცნობათ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ რომ მაგალითად ფრანგულათ ვლაპარაკობდეთ, მაშინ X-ის მიერ ასტრონომიის პოპულიაროზაცია საჭირო აღარ შეიქმნებოდა და მისი ძალა შესაძლებელი იყო უკეთეს რასმე მოხმარებოდა, ჩვენ კი ფლამარიონს წავიკითხავდით ან კიდევ კლეინს, თუ გერმანული გვეცოდინებოდა. ამითი რასაკვირველია იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენ ჩვენი ენა არ უნდა დავიცვათ, იგი უნდა გავაქარწყლებინოთ ვისმე, არა და იმედი გვაქვს არც არავინ დაგვწამებს ამას, მაგრამ როცა სერიოზულ წერილში არასერიოზული აზრი შეეპარება კაცს ის უნდა აღინიშნოს. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ბ. სურგულაძის წერილში კიდევ ერთი ადგილი, საცა ავტორი მიმართავს ჩვენს „მამოჩკებს" და თხოვს თუ ეროვნული გრძნობით არ შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ, შვილებისადმი სიყვარულით მაინც იხელმძღვანელეთ და ნუ აურევთ ენასო. ჩვენ დაოწმუნებული ვართ ბ. სურგულაძე დაგვეთანხმება, რომ ქართულის დამცველი და განმავითარებელი წრე იმ „მამოჩქების" გარეთ უნდა ვეძიოთ, რადგან მხოლოთ ამათზე დაღორებული ელემენტია დაინტერესებული ენისა და სხვ. ეროვნულ საუნჯეთა დაცვაში და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დაგვეთანხმოს, რომ მისი მიმართვა სრულიად უადგილოა, უსარგებლო წყლის ნაყვამ და დროთავი დავანებოთ ასეთ მოწოდებებს.

ბელეტრისტულ ნაწილსაც სიღარიბე ეტყობა. ბევრი ჩვენი მწერალი არა ჩანს ამ განყოფილებაში, როგორც ძველი ისახალი, თუმცა დარწმუნებული ვართ ყველა სიამოვნებით დაეხმარებოდა ამ კალენდარს, და თუ უსასყიდლოთ არა, გამომცემელს შეეძლო ჰონორარიც გაეცა.

ამით ვათავებთ ჩვენ შენიშვნებს კალენდარში მოთავსებულ წერილებზე. კალენდარში მოთავსებულ ბიოგრაფიებში ძლიერ ნაკლებათ არის გამოკვეული იმ მოღვაწეთა ფიზიონომია, რომელნიც სურათების სახით ღირსათ იქნენ ცნობილნი კალენდრის დამამშვენებლების სახელისა, მეტათ [illegible] ლაა შეტანილი. ესვე განყოფილება იწვევს [illegible] რამ გამოიწვია ასეთი უთანასწორობა, როგორც ამ ბიოგრაფიებს ეტყობა? ილია ჭავჭავაძეს აქვს დათმობილი მხოლოთ ერთი გვერდი, აგრეთვე აკაკის, ხოლო იაკობ გოგებაშვილსაკ ხუთი და ისიც წვრილი ასოებით. პეტრე უმიკაშვილს ორ ნახევარი, ბ. ცხვედაძეს ერთ-ნახევარი, ხოლო ზოგიერთ ახალგაზრდა მწერლებს კი, რომელნიც კალენდარში დაუხატავთ, არც ერთი ამითი. რასაკვირველია იმისი თქმა არ გვინდა, რატომ ამასა და ამას ბევრი ადგილი დაუთმეთ, არა, რატომ ნაკლები დაწერეთ სხვებზე, როცა მათი დახასიათებაც არა ნაკლებ იყო საჭირო ჩვენი მკითხველისთვის. ესეც უსისტემობას ნიშნავს.

საზოგადოთ მაინც ორივე კალენდარი ჩვენი საზოგადოებისთვის სასიამოვნო შენაძენია, ნამეტურ შედარებით წინანდელთან, და ამიტომ სულით და გულით ვუსურვებთ ,,საზოგადოებას'' სავსებით გაესაღებიოს ორივე გამოცემა, მით უმეტეს, რომ მისი გამგეობა მეტათ ფრთხილი და მშიშარაა ყოველ ახალ საქმეში, და წელს რომ ზარალი ნახოს, შეიძლება თავი დაანებოს ამ საქმეს, თუმც მას შეუძლია მომავალში მოგება აჩვენოს. რაც ვთქვით, სწორეთ იმ სურვილით იყო გამოწვეული, რომ მომავალში ყოველივე ნაკლი აიშოროონ თავიდან და ისე მოაწყონ საქმე, რომ თვით მტერსაც არ შეეძლოს ცუდი თქვას.

ფასი ორივე კალენდრისა სტოლისა ერთი მანათი, ხოლო კედლის 70 კაპ. შედარებით ძვირია, მაგრამ ეს ყველა ქართული გამოცემის ბედია, რადგან წერა-კითხვის საზოგადოება ვერ იმზადებს საკმაო მკითხველებს თავის გამოცემებისათვის...

მკითხველი.

წერილი რედაქციის მიმართ *).

ყველასათვინ აშკარა უნდა იყოს, რომ მეტის-მეტი სასარგებლო და საინტერესოა რაიმე საზოგადო კრებების ან წარმოდგენის შესახებ რეცენზიები იწერებოდეს. ერთ კუთხეში მომხდარ საინტერესო ამბებს მეორე კუთხეში გაიგებენ. გაიგებენ თუ როგორ ასრულებს ესა თუ ის დასი ან სხვა საზოგადო დაწესებულება თავის მოვალეობის; მაგრამ იმის უარესი არაფერია, როცა რომელიმე ვაჟბატონი კორესპონდენტის სახელით გამოდის გაზეთის ფურცლებზე, სინამდვილის მაგიერ ფაქტებს ამახინჯებს და მსჯელობს ცალმხრივად.

ამგვარ სურათს წარმოადგენს სწორედ ბათუმელი კორესპონდენტი ბ. განკიცხული, რომელიც ,,ევერიაში'' თანამშრომლობს. ორი რეცენზია დასწერა ბ. განკიცხულმა ,,ევერიაში'' და ორივე ცალმხრივი. პირველში ის კიცხავს ბათომის საზოგადოებას, ,,თუ რატომ არ ესწრებით მესხეშვილის წარმოდგენებსაო.'' ბათომის ქართველ საზოგადოებაზე როცა გვაქვს ლაპარაკი უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი ნაწილი ძალიან მცირე—ეს არის ბურჟუაზია და ჩინოვნიკობა, მეორე არის ღარიბი ნაწილი საზოგადოებისა—მუშები და სხვა და სხვა წვრილი მოსამსახურეები, რომელიც დიდ უმრავლესობას შეადგენს. თუ პირველ ნაწილს კიცხავს პატივცემული კორესპონდენტი—ეს უსამართლოა, იმიტომ რომ ამათგან დიდი უმრავლესობა დაესწრო წარმოდგენას (თუმცა ლა დეფიციტი მაინც დარჩა დასს), თუ მეორე—ღარიბ ხალხს—მაშინ მიზეზი უნდა დაესახელებია.

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა უადგილობის გამო დაგვიგვიანდა. რედ.

მართალია მუშები არ დასწრებია „ურიელ-აკოსტას“, მარა იმისთვინ კი არა რომ თითქოს იმდენად შეუგნებელნი და უვიცნი იყვენ, მესხიშვილი არ იცოდენ ვინ არის, კარგ დასს და კარგ წარმოდგენას ვერ არჩევდენ (როგორც ეს განკიცხულს გონია), არამედ იმისთვის რომ ფასები მათთვის ხელმისაწვდომი არაა დრამატიული საზოგადოების დასის მიერ გამართულ წარმოდგენაზე. უმთავრესი მიზეზი ესაა, და ამას უადა მიაქციოს დრამატიულმა საზოგადოებამ ყურადღება თუ უნდა ხალხის სამსახური. მაშინ არც მწვადი დაიწვება და არც შამფური. ხალხიც დაესწრება წარმოდგენებს და სარგებლობაც საკმაოდ დარჩება.

სულ სხვა შინაარსისაა განკიცხულის მეორე რეცენზია. მას ამოუღია მიზანში ბათომის სცენის [illegible] ჯგუფი და უნდა როგორმე გაამაგოს, აუღია ამ[illegible]ოგადოება, მუშები, და უნდა დაამტკიც[illegible]ს იმათ [illegible]ნებლობა. უწოდებს მათ ბრმა კლაკიორებს, [illegible] ძეხედულების და აზროვნების მოკლებულს და სხვ.

არ ვიტყვი იმას, რომ ბათომის სცენის მოყვარეები ხარაზაშვილის და კალანდარიშვილის მონაწილეობით კარგი დასი იყოს, სავსებით უნაკლულოთ ასრულებდენ როლებს, მაგრამ იმის თქმა კი, რასაც განკიცხული ამბობს, მეტის მეტი უსამართლობაა. ეს ერთი ხანია თამაშობს ეს დასი, რამდენიმე წარმოდგენები დადგა და ყოველთვის გვარიანათ თამაშობენ. უკანასკნელი წარმოდგენა კი (პარიზის ღარიბ-ღატკანი), რომელსაც განკიცხული ასე უსამართლოდ კიცხავს, ყველაზე უკეთესი იყო, და ეს ამით აიხსნება, რომ ისეთი ნიჭიერი არტისტები იღებდენ მონაწილეობას, როგორიც ბ. ხარაზიშვილი და ქ. მდივანია სხვა მოთამაშეებიც, როგორც მაგალითად ბ. წეროძე დიუპონის როლში, ბ. ივანიძე მღებავის როლში არ დაიწუნებოდენ. საზოგადოთ ამ ჯგუფის მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერია; დგამენ იაფ-ფასიან წარმოდგენებს, შრომობენ ეს ახალგაზდა მოღვაწეები და ხალხიც პატივისცემით ეპყრობა მათ. აქ არც კლაკიორობაა, არც სიბრმავე, არც შეუგნებლობა და არც სხვა რაიმე. დასასრულ ვუსურვებ ბათომის სცენის მოყვარეებს კვლავ წინანდებულ მოღვაწეობას, მეტ ენერგიას და მეტ მეცადინეობას; განკიცხულს კი უნდა უთხრა რომ ამგვარი უმართლო კიცხვა-გინებით თავს ნუ გაიმათრახებს თავისივე ხელით მომავალში.

ბენია ჩხიკვიშვილი.

დრ. რედაქტორი ნ. ი. ალექსიევ-მესხიევი.

გამომცემელი ს. მ. თ.-წერეთლისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

Открыта подписка на 1904 г.

на большую ежедневную съ полной программой, выходящую въ Баку, газету

„Бакинскія Извѣстія“

Газета имѣетъ собственныхъ корреспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ С.-Петербургѣ, Москвѣ и заграницей.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Для городскихъ подписчиковъ: На годъ 7 р., на 6 мѣс.—4 р. 50 к., на 3 мѣс.—2 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. Для иногородныхъ: на годъ 8 р. 50 к., на 6 мѣс.—5 р. 25 к., на 3 мѣс.—3 р. 25 к., на 1 мѣс.—1 р. 25 к.

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка:

Для городскихъ: при подпискѣ 3 р., къ 1 апрѣля—2 р., къ 1 іюля 2 руб.
Для иногород.: при подпискѣ 3 р. 50 к., къ 1 апрѣля—3 р., къ 1 іюля—3р.

Редакторъ-издатель Н. А. ГРИНЕВЪ.

ПОДПИСКА НА

„С.-Петербургскія Вѣдомости“

НА 1904 Г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	Безъ казенныхъ прибавленій. на годъ.	на 6 м.	3 м.	1 м.	*Съ казенн. приб.* на годъ.	6 м
Съ доставкой по гор. почтѣ	16 р.	9 р.	4 р. 50 к.	1 р. 80 к.	18	10 р.
Съ пересылкою иногородн.	17 „	10 „	5 „ 50 „	2 „ — „	19	10 „
За границу	26 „	14 „	8 „ — „	3 „ — „	28	16 „

Подписка на газету безъ «прибавл.» принимается въ конторѣ на всѣ сроки не иначе какъ съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года.

Подписка на газету съ „Прибавл. къ С.-Петерб. Вѣдом.“ (казенныя объявленныя) принимается только на годовой и полугодовой срокъ. Въ разничную продажу «Прибавл.» не поступаютъ.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ чрезъ гг. казначеевъ (по особому съ ними соглашенію); для честныхъ же лицъ, обращающихся прямо въ контору редакціи: 7 руб. при подпискѣ 5 руб. въ канцѣ марта и 5 р. 1 августа

Подписчикамъ, не внесшимъ въ срокъ подписныхъ денегъ, высылка газеты прекращается.

При высылкѣ денегъ почтовымъ переводомъ слѣдуетъ обозначать требованіе о высыкѣ газеты на самомъ переводѣ, а не въ отдѣльномъ письмѣ.

При перемѣнѣ адреса необходимо слѣдуетъ сообщать: городскимъ подписчикамъ; прежній адресъ или нумеръ подписнаго билета, а иногороднимъ; прежній адресъ или присилать бандеролъ подъ которой высылается газета. За перемѣну адреса упачиваетая: съ городскаго иногородній 1 руб., съ иногородняго на иногородній: 40 коп. При перемѣнѣ городскаго или иногород. адреса на заграничный доплачивается почтовыхъ расходовъ 1 р. 10 коп. въ мѣсяцъ.

Дла духовныхъ лицъ, воспитанниковъ высшихъ учебныхъ зяведеній, преподавателей народныхъ училищъ и всѣхъ средныхъ и высшихъ учебныхъ заведеній, а равно для общественныхъ библіотекъ и читаленъ подписная цѣна 12 руб. въ годъ или по 1 руб. въ мѣсяцъ (исключительно чрезъ контору „С.-Спетербургскихъ Вѣдомостей“).

Подписка принимается въ Петербургѣ—въ главной конторѣ «С.-Петербугскихъ вѣдомостей», Шпалерная 26 и въ книжныхъ магазинахъ: 1) Цинзерлинга (бывш. Мелье). Невскій пр., № 20 и 2) П. П. Сойкина, Невскій пр., № 96, уголъ Надеждинской; въ Москвѣ—въ конторѣ Н. Почковской, Петровскія линіи, № 61

Иногородніе адресуютъ: С.-Петербургъ, Шпалерная, 26,

Изд. кн. Э. Э. Ухтомекій. *Ред. А. А. Столыпинъ.*

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Января 1903 г.

Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ д. армянск. дух. семинаріи.